

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის გზამკვლევი

გზამკვლევი - როგორ
გახდეთ ზემოქმედებაზე
ორიენტირებული კომპანია
ცირკულარულ ეკონომიკაში



Global Compact
Network Germany



სამართლებრივი ინფორმაცია

სამართლებრივი ინფორმაცია

გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი

პირველად გამოიცა

WWF (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი) გერმანია

პროექტის მენეჯმენტი და კონცეფცია

მერლე ერნესტო | WWF(ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი)გერმანია
დანიელ მაზურე | გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი
რებეკა ტაუერი | WWF გერმანია

რედაქტორები

მერლე ერნესტო | WWF გერმანია
დანიელ მაზურე | გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი
Dr Dominik Patzelt | WWF გერმანია
Lisa Schimmelpfeng | გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი
Rebecca Tauer | WWF გერმანია
დოქტორი დომინიკ პატცელტი | WWF გერმანია
ლიზა შიმელპფენგი | გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი

საავტორო უფლება

გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი

დიზაინი და დაკაბადონება

derMarkstein.de

კორექტურა

ანჟელიკა პოლი (გერმანული)
ჰეზერ მაკრეი (ინგლისური)

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კოლეგებს და სხვადასხვა კომპანიის
ექსპერტებს, რომლებმაც კრიტიკულად შეაფასეს ამ გზამკვლევის შინაარსი
და თავიანთი დრო და რესურსები დაუთმეს მის შემუშავებას.
იოჰანა ბეიერი, გაეროს გლობალური შეთანხმების გერმანიის ქსელი
დოქტორი ანია აიზენრაიხი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი
ზილკე დიუველ-რიეთი, WWF გერმანია
დავიდ ჰელბიგი, WWF გერმანია
იუსტუს კამიულერი, WWF გერმანია
ტალკე შაფრანეკი, BASF SE
ელენა შპორი, ZF Friedrichshafen AG
შტეფან უნგერი, მდგრადობა, ნახევარგამტარული მოწყობილობები

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის გზამკვლევი

გზამკვლევი - როგორ
გახდეთ ზემოქმედებაზე
ორიენტირებული კომპანია
ცირკულარულ ეკონომიკაში

წინასიტყვაობა

წედლეულის ამჟამინდელმა მოხმარებამ გამოიწვია ჩვენი პლანეტისთვის დაწესებული ლიმიტების გადაჭარბება. გლობალური დათბობა, ბიომრავალფეროვნების კრიზისი და გარემოს დაბინძურება აშკარა გამაფრთხილებელი ნიშნებია იმისა, რომ ჩვენ უნდა გადავავასოთ და შევცვალოთ წარმოებისა და მოხმარების არსებული მოდელები. ცირკულარული ეკონომიკა (CE) მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის გამიჯვნას რესურსების მოხმარებისგან.

ცირკულარული ეკონომიკა ასევე სულ უფრო მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის (CSRD) შესაბამისად ევროპული ანგარიშგების მოთხოვნების შემოღებასთან დაკავშირებით, ბევრ კომპანიას სჭირდება უფრო დეტალური ინფორმაცია მათი რესურსების მოხმარებისა და ცირკულარული ბიზნესის პრაქტიკის შესახებ, რაც ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავების საფუძვლიან მიზეზს წარმოადგენს, რადგან ის კომპანიებს მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობებს ანიჭებს. ამავდროულად, ყოვლისმომცველ ცირკულარობაზე გადასვლა კომპანიებისთვის შეიძლება რთული პროცესი იყოს.

წინამდებარე გზამკვლევი ასახავს კომპანიებში ცირკულარობის მიღწევის ძირითად მიდგომებს და იძლევა ეტაპობრივ ჩარჩოს გავლენაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის (CE) სტრატეგიის შესამუშავებლად. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მიდგომებისა და მიზნების შემუშავებაზე, რომლებიც კომპანიებს მნიშვნელოვანი ზეგავლენის მიღწევის საშუალებას მისცემს.

ტრანსფორმაციის პროცესები თავისი ბუნებით გრძელვადიანია. იმისათვის, რომ კომპანიები ცირკულარულად მოეწყოს, ცირკულარული ეკონომიკის (CE) მიდგომები უნდა იყოს ინტეგრირებული კომპანიის ზოგად სტრატეგიაში, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობით და კარგად განსაზღვრული საგზაო რუკით. გზამკვლევი გთავაზობთ ამის მრავალფეროვან მეთოდს, ინსტრუმენტსა და პრაქტიკულ მაგალითებს. და ბოლოს, სტრატეგიის დასაწერად გირჩევთ პარტნიორობის დამყარებას, რადგან ეს ცირკულარული ეკონომიკის წარმატების მთავარი წინაპირობაა.

უაღრესად მნიშვნელოვანია პირველი ნაბიჯის გადადგმა. ვიმედოვნებთ, რომ ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ ამ ნაბიჯის გადადგმაში.

შინაარსი

ტრანსფორმაციის პროცესები თავისი ბუნებით გრძელვადიანია. იმისათვის, რომ კომპანიები ცირკულარულად მოეწყოს, ცირკულარული ეკონომიკის (CE) მიდგომები უნდა იყოს ინტეგრირებული კომპანიის ზოგად სტრატეგიაში, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობებით და კარგად განსაზღვრული საგზაო რუკით. გზამკვლევი გთავაზობთ ამის მრავალფეროვან მეთოდს, ინსტრუმენტსა და პრაქტიკულ მაგალითს. და ბოლოს, სტრატეგიის დასანერგად გირჩევთ პარტნიორობის დამყარებას, რადგან ეს ცირკულარული ეკონომიკის წარმატების მთავარი წინაპირობაა.

სარჩევი

გზამკვლევის მიმოხილვა	08
1 შესავალი ზემოქმედებაზე ორიენტირებულ ცირკულარულ ეკონომიკაში	10
1.1 არსებული წრფივი ეკონომიკური მოდელი	12
1.2 ძირითადი სტრატეგია: ცირკულარული ეკონომიკა	15
1.3 ცირკულარული ბიზნესის გაგება	16
1.4 ცირკულარულ ბიზნესზე გადასვლის უპირატესობები	21
1.5 ევროკავშირის რეგულაციები	24
2 ნაბიჯები ცირკულარული ეკონომიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიისკენ	28
2.1 სტატუს კვოს შეფასება	32
a) კორპორაციული გარემოს ანალიზი	32
b) კორპორაციული გარემოს ანალიზის შეფასება	37
c) არსებითობის ანალიზი: ზემოქმედების, შესაძლებლობებისა და რისკების შეფასება	44
d) სტატუს კვოს ანალიზის შედეგად მიღებული მოქმედების პრიორიტეტული სფეროები	51
2.2 სტრატეგიული შესაბამისობა და მიზნები	53
a) ხედვა და მისია: ნორმატიული საფუძვლები ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისთვის	54
b) ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული მიდგომები: მოქმედების ვარიანტების შემუშავება და შეფასება	58
c) გამოიყვანეთ და ჩამოაყალიბეთ ცირკულარობის მიზნები ზემოქმედებაზე ორიენტირებული გზით	68
2.3 განხორციელების გზები	74
a) განხორციელების ზომების განსაზღვრა	74
b) სამოქმედო გეგმის შემუშავება	76
c) მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება	80
3 დამატებითი რესურსები	86
3.1 პოლიტიკური ჩარჩო და ცირკულარული ეკონომიკის კანონმდებლობა	87
3.2 მხარდაჭერი პროგრამები კომპანიებისთვის, რომლებიც ცირკულარული ეკონომიკისკენ მიისწრაფვიან	91
მონაცემთა ბაზები და ინსტრუმენტები	92
აბრევიატურების სია	94

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1:	ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის სტრუქტურა	08
სურათი 2:	პლანეტარული საზღვრები	13
სურათი 3:	ცირკულარული ბიზნესის პრინციპები	17
სურათი 4:	ცირკულარული ეკონომიკის 10 „R“ სტრატეგია	19
სურათი 5:	ცირკულარული ეკონომიკის სარგებელი კომპანიებისთვის	22
სურათი 6:	სამართლებრივი ჩარჩო ცირკულარული ეკონომიკისთვის	27
	ევროკავშირსა და გერმანიაში	
სურათი 7:	ეტაპები, რომლებიც აღწერილია სტრატეგიის გზამკვლევაში ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული სტრატეგიის განსახორციელებლად	29
სურათი 8:	ინსტრუმენტების შერჩევა კორპორაციული გარემოს ანალიზისთვის	34
სურათი 9:	რისკების და შესაძლებლობების მატრიცა	49
სურათი 10:	ცირკულარული ეკონომიკის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება	53
სურათი 11:	მოქმედების ვარიანტების შემუშავება ცირკულარული ბიზნესის პრინციპები	60
სურათი 12:	ზემოქმედების ჯაჭვის ანალიზი - IOOI მეთოდი	69
სურათი 13:	პოტენციური ზომები კომპანიაში ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომების განსახორციელებლად	79
სურათი 14:	კორპორატიული ფუნქციების პოტენციური წვლილი წრიულ ტრანსფორმაციაში	81

თექსტური ჩანართების ჩამონათვალი

თექსტური ჩანართი 1:	რა არის ცირკულარული ეკონომიკა?	15
თექსტური ჩანართი 2:	პრაქტიკული მაგალითი- რევერსული ლოგისტიკური ჯგუფი(RLG): უკან დაბრუნების გადაწყვეტილებები, როგორც ბიზნეს-მოდელი	23
თექსტური ჩანართი 3:	CSRD, ESR5 E5 და ცირკულარული ეკონომიკა	26
თექსტური ჩანართი 4:	დიგიტალიზაცია და ცირკულარული ეკონომიკა	35
თექსტური ჩანართი 5:	პრაქტიკული მაგალითი—IKEA: ცირკულარობის ინტეგრირება კორპორაციულ მისიაში	57
თექსტური ჩანართი 6:	პრაქტიკული მაგალითი—Philips: ცირკულარობის ინტეგრირება	58
თექსტური ჩანართი 7:	კორპორაციულ მისიაში „გახადე ცირკულარული!“ სტრატეგიული თამაში, როგორც შესავალი	60
	ცირკულარულ ეკონომიკაში	
თექსტური ჩანართი 8:	პრაქტიკული მაგალითი—Volkswagen Group: “NEW AUTO” და “goTOzero”	67
თექსტური ჩანართი 9:	პრაქტიკული მაგალითი SHIFT GmbH: მოდულირებული სმარტფონები	72
თექსტური ჩანართი 10:	პრაქტიკული მაგალითი Vytal Global GmbH: : უარი თქვი, გადააფასე, შეამცირე, ხელახლა გამოიყენე	73
თექსტური ჩანართი 11:	ცირკულარული წიგნიერება	84
თექსტური ჩანართი 12:	ციფრული პროდუქტის პასპორტი-ინფორმაციის გაცვლა ცირკულარული ეკონომიკისთვის	85



მაგალითები ელექტრომონუმბილობების გამოგონილი მწარმოებლის შესახებ


მაგალითი 1	კომპანიის მიმოხილვა	31
მაგალითი 2	კორპორაციული გარემოს ანალიზის შეფასება	36
მაგალითი 3	კორპორაციული გარემოს ანალიზის შეფასება	39
მაგალითი 4	დაშვებები უფრო ღრმა მიწოდების ჯაჭვის შესახებ	40
მაგალითი 5	დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა	42
მაგალითი 6	ზემოქმედებისა და ინტერესების მატრიცა ღირებულებათა მთელ ჯაჭვში	43
მაგალითი 7	ეკოლოგიური და სოციალური ცხელი წერტილების შეფასება	50
მაგალითი 8	პრიორიტეტული სამოქმედო სფეროების დადგენა	52
მაგალითი 9	ცირკულარული ხედვა და მისია	56
მაგალითი 10	10 R სტრატეგიებზე დაფუძნებული მოქმედების ვარიანტები	61
მაგალითი 11	შეფასების მატრიცა პოტენციური კრიტერიუმებით	64
მაგალითი 12	ეფექტურობა-რისკის მატრიცა	66
მაგალითი 13	ზემოქმედების ლოგიკა და ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI) IOOI-ის მიზნობრივ დონეებში დახურული ციკლის გადამუშავებისთვის	70
მაგალითი 14	SMART მიზნების ფორმულირება	71
მაგალითი 15	ცირკულარული ტრანსფორმაციისთვის რესურსების დაგეგმვა	78
მაგალითი 16	ცირკულარული ეკონომიკის სქემატური მმართველობის ჩარჩო	83



გზამკვლევის მიმოხილვა

ცირკულარული ეკონომიკა მიზნად ისახავს ხელმისაწვდომი რესურსების ღირებულების მაქსიმიზაციას არსებული მასალების გრძელვადიანი გამოყენებით, ნარჩენების და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციის პარალელურად. ცირკულარული ეკონომიკა არის სისტემაზე ორიენტირებული ოპტიმიზაციის სტრატეგია, რომელიც საშუალებას იძლევა შეიქმნას ეკონომიკური ღირებულება ჩვენი პლანეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ეკონომიკური სისტემის ევოლუცია ცირკულარობის მიმართულებით წარმატებული იქნება მხოლოდ კომპანიების (და სხვა სუბიექტების) აქტიური მონაწილეობით, რომლებიც ინოვაციებისა და ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ცირკულარული ეკონომიკა მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს ინოვაციებისა და პასუხისმგებლიანი მენარმეობის, როგორც ეროვნული ინდუსტრიის ძირითადი საყრდენების, მხარდასაჭერად. ამიტომ, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ამ შესაძლებლობის რეალიზებას.



სურათი 1: ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის სტრუქტურა

ჩვენი სახელმძღვანელოს მიზანია დაგეხმაროთ თქვენ და თქვენს კომპანიას ეტაპობრივი, ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ნებისმიერი ზომის და ცირკულარული ეკონომიკის სფეროში ნებისმიერი გამოცდილების მქონე კომპანიისთვის და გთავაზობთ პრაქტიკულ ინფორმაციას, მიდგომებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ცირკულარულ ბიზნესზე გადასვლას. გზამკვლევი დაგეხმარებათ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავების სამი ეტაპის გავლაში. იგი მოიცავს ცირკულარული ეკონომიკის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების მთელ პროცესს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზემოქმედებაზე ორიენტირებული მიზნების დასახვას. ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ევროპის კანონმდებლობის მიმოხილვა, ისევე როგორც დამატებითი რესურსების და დამხმარე ფორმატების სია, შეგიძლიათ იხილოთ სახელმძღვანელოს ბოლოს.

გზამკვლევი არ საჭიროებს კონკრეტული თანამიმდევრობით წაკითხვას. თქვენი კომპანიის ცირკულარული ეკონომიკის სფეროში სიმწიფის დონის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენად წაინიეთ წინ ცირკულარული ეკონომიკის გზაზე, შეგიძლიათ შეისწავლოთ კონკრეტული მიდგომები და ინსტრუმენტები. მაშინ, როცა ერთი კომპანიისთვის შეიძლება სარგებლის მომტანი იყოს სტატუს კვოს ანალიზით დაწყება, მეორეს შეიძლება პირველ რიგში დასჭირდეს მმართველობის სტრუქტურის შექმნა და შესაბამისი უფლებამოსილებების და როლების განაწილება თანამშრომლებსა ან განყოფილებებს შორის. ნაბიჯების გამოყენების თანმიმდევრობა დამოკიდებულია თქვენს როლზე კომპანიის შიგნით და მის არსებულ სტრუქტურებზე. ჩვენ გირჩევთ, რომ ეს სახელმძღვანელო გამოიყენოთ ისე, როგორც საუკეთესოდ შეეფერება თქვენ და თქვენს კომპანიას.

შესავალი

გემოქმედებაზე
ორიენტირებულ
ცირკულარულ
ეკონომიკაში

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავების სამი ეტაპის განხილვამდე შემდეგ თავებში, ამ თავში განვიხილავთ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობასა და პოტენციალს. ასევე წარმოგიდგენთ ჰოლისტიკური ცირკულარული ეკონომიკის ძირითად მახასიათებლებსა და სამოქმედო სტრატეგიებს, რათა მოგამზადოთ სტრატეგიის შემუშავებისთვის.

1.1 არსებული წრფივი ეკონომიკური მოდელი


ეკონომიკურმა ზრდამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა მატერიალური კეთილდღეობის ისეთ დონეს მიაღწია, რაც წინა თაობებისთვის წარმოუდგენელი იყო. თუმცა, მათ ასევე სერიოზული გამოწვევები წარმოშვეს. კერძოდ, კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების კრიზისი ახალ მიდგომებს მოითხოვს. ორივე მოვლენა მჭიდრო კავშირშია წრფივ ეკონომიკასთან, რადგან სათბურის გაზების გლობალური ემისიების 50%-ზე მეტი და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის 90%-ზე მეტი ნედლეულის მოპოვებითა და გადამამუშავებით არის გამოწვეული.¹ ახალი პროდუქტების წარმოებისთვის ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარება კვლავ იზრდება. მოსალოდნელია, რომ მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში მოთხოვნა ისეთი მასალების მოპოვებაზე, როგორიცაა ბიომასა, წიაღისეული სანავი, ლითონები და მინერალები, გაორმაგდება.²

მიუხედავად მუდმივი ტექნოლოგიური პროგრესისა და რეგულაციური ინოვაციების შესაძლებლობისა, ნედლეულის მოპოვება, სავარაუდოდ, სულ უფრო მეტად რადიკალურ გარემოსდაცვით ჩარევას მოითხოვს. ადვილად ხელმისაწვდომი ნედლეულის მრავალი საბადო უკვე იქნა ინტენსიურად გამოყენებული ეკონომიკური ზრდის წინა ეტაპებზე, განსაკუთრებით ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიაში. ბუნებრივი ეკოსისტემები, რომლებიც ადრე ხელუხლებელი იყო, ახლა დასუსტებულია. შესაბამისად, მომავალი ეკონომიკური ზრდა სულ უფრო შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში მოხდება, ხოლო გეოპოლიტიკური კრიზისები დამატებით გამოწვევებს შეუქმნის ნედლეულით უზრუნველყოფას.³

1 UNEP and IRP (2024); Bend the trend: Pathways to a liveable planet as resource use spikes

2 იხილეთ მაგ., Global Footprint Network; <https://www.footprintnetwork.org>

3 გარემოს დაცვის ფედერალური სააგენტო; bit.ly/Rohstoffproduktivität



სურათი 2: პლანეტარული საზღვრები ⁴

⁴ სტოკჰოლმის მდგრადობის ცენტრი; bit.ly/SRCplanetaryboundaries

ამასობაში, ნარჩენების მოცულობა კვლავ იზრდება. ნედლეულის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება ხელახლა ერთჯერადი გამოყენების შემდეგ და მისი თავდაპირველი სარგებლიანობის ღირებულება იშვიათად ნარჩუნდება. პროგნოზების თანახმად, 2050 წლისთვის ნარჩენების მოცულობა 70%-ით გაიზრდება.⁵ ცირკულარობის ხარვეზის ანგარიშის" თანახმად, 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 7,2% იყო დაფუძნებული ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე.⁶

ეს სამი ურთიერთდაკავშირებული საკითხი - ნედლეულის მოხმარება, ნარჩენების წარმოქმნა და მეორადი გამოყენების დაბალი მაჩვენებლები - კომპლექსური ეკოლოგიური ლიმიტების დარღვევის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორებია. ერთ-ერთი კონცეფცია, რომელიც სამეცნიეროდ აანალიზებს და განსაზღვრავს ამ ლიმიტებს, არის პლანეტარული საზღვრების კონცეფცია.⁷ ეს ცხრა სისტემა და პროცესი მოიცავს: კლიმატის ცვლილებას, ახალი სუბიექტების გაჩენას, სტრატოსფეროში ოზონის შემცველობის შემცირებას, აეროზოლურ დაბინძურებას, ოკეანეების გამჟავიანობას, ბიოგეოქიმიურ ციკლების ცვლილებებს, მტკნარი წყლის სისტემების ცვლილებებს, ხმელეთის სისტემების და ბიოსფეროს მთლიანობის ცვლილებებს. აღნიშნული ლიმიტებიდან ექვსი უკვე გადაჭარბებულია, რაც ხაზს უსვამს გლობალური გარემოსდაცვითი ქმედებების გადაუდებელ აუცილებლობას.

წრფივი ეკონომიკური მოდელი ორიენტირებულია ახალი პროდუქტის უწყვეტ წარმოებაზე, მაშინ როდესაც გრძელვადიანი მოხმარების საქონლის წარმოების სტიმული პრაქტიკულად არ არსებობს. ნედლეული შენარჩუნებულია პირველ რიგში ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თუმცა მისი შესყიდვის, წარმოებისა და გაყიდვის ფუნდამენტური ადაპტაციის გარეშე ზემოხსენებულ გლობალურ გამოწვევებთან.

ჩვენი ამჟამინდელი ეკონომიკური მოდელი არა მხოლოდ მნიშვნელოვან კლიმატურ და ეკოლოგიურ რისკებს შეიცავს, არამედ სულ უფრო მზარდ ტვირთად აწვება სახელმწიფოსა და საზოგადოებას. აღნიშნული რისკები პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიებზე, რაც ფასების ცვალებადობის ზრდას, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებსა და ნედლეულის დეფიციტს იწვევს. ეს რისკები ძირს უთხრიან

5 მსოფლიო ბანკი; bit.ly/Globalwastegrowth

6 ცირკულარული ეკონომიკის ფონდი (2024); ცირკულარობის ხარვეზის ანგარიში 2024

7 სტოკჰოლმის მდგრადობის ცენტრი; bit.ly/planetaregrenze

დამკვიდრებული წარმოების პროცესების მომგებიანობას და, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება შემოსავლის დაკარგვაც გამოიწვიონ. ერთი რამ ცხადია: ჩვენი ეკონომიკის პლანეტარულ საზღვრებთან შესაბამისობაში მოყვანა საერთო გამოწვევას წარმოადგენს, რომლის მოგვარება საბოლოო ჯამში ყველასთვის სარგებლის მომტანია.

1.2 ძირითადი სტრატეგია: ცირკულარული ეკონომიკა

ამ გამოწვევებთან გამკლავება მოითხოვს ახალ სტრატეგიებსა და დამკვიდრებულ პროცესებსა და ბიზნეს მოდელებში ცვლილებების შეტანას. ცირკულარული ეკონომიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ გარდამავალ პროცესში. გერმანიის ცირკულარული ეკონომიკის მოდელის ტექნიკურ-ეკონომიკურმა

კვლევამ აჩვენა, რომ ცირკულარობის პრინციპების თანმიმდევრულმა დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გამოიწვიოს, რაც გამოიხატება კლიმატის დაცვაში სათბურის გაზების ემისიების შემცირებით, რესურსების შენარჩუნებაში ნედლეულის დაზოგვით, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში მიწის გამოყენების შემცირებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და სტრუქტურული ცვლილებების

ხელშეწყობაში როგორც ეკონომიკაში, ასევე სოციალურ სისტემებში.

რა არის ცირკულარული ეკონომიკა?

ცირკულარული ეკონომიკა არის რეგენერაციული სისტემა, რომელიც დაფუძნებულია განახლება ენერგიაზე და მიზნად ისახავს შეცვალოს არსებული წრფივი ინდუსტრიული მოდელი „აიღე-გააკეთე-გადაყარე“. ამის ნაცვლად, მასალები რჩება ეკონომიკურ ციკლში, ნახალისებულია პროდუქტების გაზიარება და ნარჩენები და უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი. ცირკულარული ეკონომიკა დადებით გავლენას ახდენს როგორც გარემოზე, ასევე საზოგადოებაზე და მოქმედებს პლანეტის შესაძლებლობების ფარგლებში. ცირკულარული ეკონომიკის დანერგვა შესაძლებელი ხდება ზრდისა და მოხმარებისადმი ჩვენი ამაჟამინდელი მიდგომის გადახედვის გზით. (WWF, 2023)

ტექსტური ჩანართი 1: რა არის ცირკულარული ეკონომიკა?

იმისათვის, რომ სრულად ვისარგებლოთ ცირკულარული ეკონომიკის უპირატესობებით, უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მიდგომა როგორც ბიზნეს პრაქტიკის, ასევე ცხოვრების წესის მიმართ. ცირკულარულობა უნდა იყოს გაგებული როგორც სტრატეგიული გადაწყვეტა. ის სცილდება ტრადიციულ ცირკულარულ მიდგომებს, როგორიცაა ნარჩენების გადამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების გადამუშავება გვთავაზობს გაუმჯობესებისა და ინოვაციების შესაძლებლობებს, დიზაინზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ასევე ითვალისწინებს მოხმარების ეტაპს, შეიძლება გახდეს ფუნდამენტურად ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების საფუძველი, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება ექნებათ.


ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი სტრატეგიებია:

1. **რესურსების ნაკადის შემცირება**, მაგალითად, მასალის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდით და ციფრული გადაწყვეტილებების ინტეგრირებით, რაც შეამცირებს რესურსების საჭიროებას პროდუქციის ერთეულზე.
2. **მასალების ჩანაცვლება**, მაგალითად, განახლებადი ნედლეულის და ტექნიკური ინოვაციების გამოყენებით, როდესაც ეს ეკოლოგიურად და სოციალურად მომგებიანია.
3. **რესურსების ნაკადების შენელება**, მაგალითად, გამძლე პროდუქტების შემუშავებით, რომელთა გამოყენება, ხელახალი გამოყენება და შეკეთება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნება შესაძლებელი, სოციალურად მომგებიანია.
4. **პროდუქტის გამოყენების ინტენსიფიკაცია**, მაგალითად, გაზიარებისა და თანამშრომლობითი მოხმარების ხელშეწყობით.
5. **რესურსების გამოყენების ციკლების ჩაკეტვა**, მაგალითად, ნარჩენების მაღალი ხარისხის გადამუშავების, ნარჩენების გადამუშავების ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისა და გამოყენების ფაზაზე ორიენტირებული დიზაინის მეშვეობით.

1.3 ცირკულარული ბიზნესის გაგება

ცირკულარული ბიზნესის ასპექტების შესწავლა შესაძლებელია ეტაპობრივად, მიკროდან მაკრო დონემდე (იხილეთ სურათი 3).

ცირკულარული ბიზნესის საფუძველს წარმოადგენს ბიზნესმოდელი, რომელიც ტრადიციულ ბიზნეს მიზნებთან ერთად მოიცავს ცირკულარული რესურსების მართვას. ბიზნესმოდელი ძირითადად აღწერს, თუ როგორ ქმნის, აწვდის და ინარჩუნებს კომპანია ღირებულებას. ბიზნესმოდელი მოიცავს ღირებულების შექმნის შეთავაზებას, ღირებულების შექმნის არქიტექტურას და შემოსავლის მიღების მოდელს, რომლებიც კომპანიის კონკურენტული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.[1] ცირკულარული ბიზნეს მოდელები აგრეთვე მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას და პროდუქტის ხანგრძლივობის უზრუნველყოფას დიზაინის ეტაპიდანვე. მომგებიანობის გარდა, მთავარი პრიორიტეტია მასალების საერთო



სურათი 3: ცირკულარული ბიზნესის პრინციპები

მოხმარების შემცირება. ცირკულარულმა ბიზნეს მოდელმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს როგორც მასალისა და პროდუქტის ღირებულების შენარჩუნებას, ასევე თავად პროდუქტის მდგრად შექმნას. ციკლის დასახურად, მასალები და პროდუქტები უნდა იქნას აღდგენილი მიწოდებისა და ღირებულების მთელი ჯაჭვის განმავლობაში. ცირკულარული ღირებულების შექმნა გარდაქმნის ბიზნეს პროცესებს ყველა ეტაპზე ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების ინტეგრირებით. ამიტომ, უმნიშვნელოვანესია გავიაზროთ საკუთარი როლი ღირებულების შექმნაში და, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა განვსაზღვროთ ის ცირკულარული ღირებულების შექმნის ციკლის მხარდასაჭერად.

იმისათვის, რომ ღირებულების ჯაჭვები ღირებულების ციკლებად გარდაიქმნას, უნდა მოხდეს მათი ინტეგრირება ცირკულარულ ეკოსისტემებში, სადაც თანამშრომლობა და პარტნიორობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. ცირკულარულ ეკოსისტემებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარე თანამშრომლობს ინოვაციების წახალისების, ცირკულარული ეკონომიკის წინსვლისა და ტრანსფორმაციის აქტიური ფორმირების მიზნით. ერთობლივი პროექტების, ცოდნის გაზიარებისა და პოლიტიკური ერთგულების მეშვეობით, იქმნება ახალი კონცეფციები და ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღემატება ცალკეული დაინტერესებული მხარის შესაძლებლობებს. ეს ხელს უწყობს ზემოქმედების მაქსიმიზაციას, ეფექტურობის გაზრდას, ხარჯების შემცირებას, საზოგადოების ნდობის განმტკიცებას და საზოგადოებისადმი ერთგულების გაზრდას.

ცირკულარული ბიზნესი აღიარებს რესურსების სასრულ ბუნებას და ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენის აუცილებლობას, ამ პრინციპების ინტეგრირებით ღირებულების შექმნასა და ბიზნეს ოპერაციებში. ეკოლოგიური დატვირთვის ლიმიტები მოქმედებს როგორც დამცავი ბარიერები, რომლებიც განსაზღვრავენ ცირკულარული ეკონომიკური სისტემის ჩარჩოს.

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი პრინციპები

ცირკულარობის 10 R სტრატეგია ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების თქვენი კომპანიის კონკრეტულ კონტექსტში გადატანას.

R სტრატეგიები შეიძლება ფოკუსირებული იყოს:

- **რესურსების მოპოვება:** მოიცავს პირველადი ნედლეულის გამოყენების შემცირებას, პროექტისთვის პრიორიტეტის მინიჭებას საწყის ეტაპზე და მეორადი ნედლეულის გამოყენებას (უარის თქმა, გადააბრება, შემცირება).
- **წარმოება და გამოყენება:** ფოკუსირებულია პროდუქტის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდაზე გაუმჯობესებული დიზაინის, გამოყენების ოპტიმიზაციისა და ღირებულების შენარჩუნების ზომების (ხელახალი გამოყენება, შეკეთება, განახლება, ხელახლა წარმოება) მეშვეობით.
- **სასიცოცხლო ციკლის დასრულება:** ორიენტირებულია ნარჩენების უტილიზაციის მინიმიზაციაზე პროდუქტების, ასევე ნედლეულის ხელახლა გამოყენებით (ახალი დანიშნულების მიცემა, გადამუშავება და აღდგენა).

მე-4 სურათზე მოცემული დანაწილება ცხადყოფს ფუნდამენტურ ზეგავლენას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია. სხვადასხვა ან კომბინირებული „R“ სტრატეგიების აქტუალობა და ეფექტურობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა კომპანიის ტიპი, გამოყენებული მასალები, კომპანიის ბიზნეს მოდელი, პროდუქტები და სერვისები, პროცესები და როლი ღირებულებათა ჯაჭვში. მაგალითი 10 (გვ. 62) ასახავს პოტენციურ ქმედებებს, რომლებიც ელექტრომონოპოლიზაციის მწარმოებელმა შეიძლება განახორციელოს 10 R სტრატეგიის საფუძველზე.

პროდუქტის უფრო გონივრული გამოყენება და ნარმოება	R სტრატეგია	განმარტება	მიზანი	ინსტრუმენტები
	უარის თქმა	ნედლეულისა და პროდუქტების ამოღება ან ჩანაცვლება.	ნარმოებისა და მოხმარების ჩვევების გადააზრება და ახალი ცირკულარული გადანაცვტილებების დანერგვა.	- რესურსების მოხმარების შემცირება და ეკოლოგიურად სუფთა მასალის შერჩევა - პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციური (მაგალითად, ციფრული) გადანაცვტილებებით ჩანაცვლება.
	გადააზრება	მასალებისა და პროდუქტების შერჩევა ცირკულარული პოტენციალის საფუძველზე და პროდუქტის გამოყენების გააქტიურება.	პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივება და პროდუქტებისა და მასალების უკან დაბრუნების ნაკადის ხელშეწყობა.	- ახალი პროდუქტის ციკლების „პროდუქტი-როგორც-სერვისი“ შექმნა, ხელახალი გამოყენებისა და გაზიარების მოდელის, ასევე მრავალფუნქციური პროდუქტების მეშვეობით - ცირკულარული სისტემები და პროცესები, როგორიცაა პროდუქტის დაბრუნების ლოგისტიკა (რევერსული ლოგისტიკა).
	შემცირება	პროდუქტებსა და მომსახურებაში ნედლეულის გამოყენების შემცირება	რესურსების მოხმარების შემცირება (განსაკუთრებით პირველადი ნედლეულის და ენერგიის) და რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესება	- მასალების დაზოგვა ცირკულარული პროდუქტის დიზაინის მეშვეობით (მაგალითად, მოდულური კონსტრუქცია) - ეფექტურობის გაზრდა ნარმოების პროცესების ოპტიმიზაციის გზით - მდგრადი შესყიდვები - ინოვაცია პროდუქტის შემუშავებასა და შეფუთვის გადანაცვტილებებში.

	R სტრატეგია	განმარტება	მიზანი	ინსტრუმენტები
პროდუქტებისა ან პროდუქტის ნაწილების მომსახურების ვადის გახანგრძლივება	ხელახლა გამოყენება	პროდუქტების ან პროდუქტის ნაწილების მეორადი გამოყენება მათი თავდაპირველი დანიშნულებით	პროდუქტების მომსახურების ვადის გახანგრძლივება და ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანა	▶ გამოყენებული პროდუქტების ხელახალი მარკეტინგი ▶ შეკეთებისა და აღდგენის პროცესები
	შეკეთება	პროდუქტის ფუნქციონირების შენარჩუნება და აღდგენა.	პროდუქტების მომსახურების ვადის გახანგრძლივება და ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანა	▶ პროდუქტის დეფექტური ნაწილების შეკეთება და შეცვლა
	განახლება	გამოყენებული პროდუქტების ან მათი კომპონენტების განახლება.	ფუნქციონალურობის აღდგენა და მომსახურების ვადის გახანგრძლივება; ახალი სასიცოცხლო ციკლის შექმნა და ნარჩენების მინიმიზაცია	▶ მასალების აღდგენა ▶ დეფექტური ნაწილების შეცვლა ან შეკეთება ▶ პროდუქტების განახლება უფრო მაღალი ხარისხის ნაწილებით
	ხელახლა წარმოება	ფუნქციონალურობისა და წარმადობის აღდგენა.	მომსახურების ვადის გახანგრძლივება და ნარჩენების მინიმიზაცია	▶ ხელახლა წარმოება და როგორც მეორადი, ასევე ახალი კომპონენტების გამოყენება ▶ კომპონენტების ჩანაცვლება
მასალების ეფექტურად ხელახლა გამოყენება	ახალი დანიშნულების შექმნა	არსებული პროდუქტებისა და პროდუქტის ნაწილებისთვის ახალი ფუნქციების შექმნა.	პროდუქტებისთვის, რომლებიც აღარ ემსახურება თავდაპირველ მიზანს, ახალი გამოყენების ციკლის შექმნა.	პროდუქტის ფუნქციონალურობის პერსონალიზება.
	გადამუშავება	გამოყენებული მასალების გადამუშავება ახალი ნედლეულის მისაღებად	პირველადი ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების კონსერვაცია და შემცირება.	მეორადი ნედლეულის აღდგენა მექანიკური ან ქიმიური გადამუშავებით, ან ორგანული გამოყენებით.
	აღდგენა	ენერგიის ან მასალების აღდგენა ნარჩენებიდან.	ნარჩენებში არსებული რესურსების გამოყენების მაქსიმიზაცია და გადამუშავებული ნარჩენების შემცირება	ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა ენერგიის მოპოვებით დაწვა, კომპოსტირება ან ნარჩენებიდან ღირებული ნივთიერებების მოპოვება.

სურათი 4: ცირკულარული ეკონომიკის 10 „R“ სტრატეგია. ჩვენნი წარმოდგენა, რომელიც დაფუძნებულია გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის (DIN)მონაცემებზე⁹

⁹ გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტი (Deutsches Institut für Normung e. V.); bit.ly/ModellR-Strategien

1.4 ცირკულარულ ბიზნესზე გადასვლის უპირატესობები

კომპანიები ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენენ და საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ. მდგრადი ტრანსფორმაცია მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ისინი საკვანძო როლს ასრულებენ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში.

კარგი ამბავი ის არის, რომ კომპანიებს ბევრი სარგებლის მიღება შეუძლიათ ცირკულარული ეკონომიკიდან. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკური ინსტიტუტი¹⁰ თავის მომავლის პანელში აჩვენებს, რომ კომპანიები, რომლებიც იყენებენ სულ მცირე ერთ ცირკულარულ სტრატეგიას, საშუალოდ, უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ იყენებენ ცირკულარული ეკონომიკის მიდგომას¹¹. ეს იმიტომ ხდება, რომ ცირკულარულობა ქმნის ფინანსურ შესაძლებლობებს მრავალი კომპანიისთვის, როგორცაა შემოსავლების ახალი წყაროები, გაუმჯობესებული მატერიალური ნაკადები და მეორადი მასალები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ შესყიდვის ხარჯებს.

თუმცა, ასევე ცხადია, რომ ცირკულარული ბიზნესი მოდელის შემუშავება და ტესტირება ინოვაციას, რისკის გაცნობიერებასა და შეუპოვრობას მოითხოვს. საბედნიეროდ, სულ უფრო მეტი დამკვიდრებული და სტარტაპი კომპანია უკვე მუშაობს ცირკულარულ ტრანსფორმაციაზე. ამ გზამკვლევაში წარმოგიდგენთ სხვადასხვა კომპანიების მაგალითს, რათა დაგეხმაროთ პრაქტიკაში უკვე არსებული ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების და მათი ბიზნეს შემთხვევების გაგებაში. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა უამრავ უპირატესობას გთავაზობთ თქვენ და თქვენს კომპანიას:

10 Future Panel of the German Economic Institute (Zukunftspanel Institut der deutschen Wirtschaft); bit.ly/Zukunftspanel

11 Lichtenthler, Neligan (2023), How Circular Are Businesses in Germany



მდგრადი განვითარების მიზნები: ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლით, თქვენ წვლილი შეგაქვთ კორპორაციული, ეროვნული და გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, როგორიცაა კლიმატის, წყლის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხები.



მარეგულირებელი ცვლილებებისადმი მდგრადობა: ცირკულარული პრაქტიკის პროაქტიულად დანერგვით, შეგიძლიათ წინასწარ განჭვრიტოთ მარეგულირებელი ცვლილებები, როგორიცაა მდგრადი პროდუქტის რეგულირების ეკოდიზაინი (ESPR) ან ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ევროკავშირის მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტი (ESRS E5).



რესურსების ეფექტურობის გაზრდა: ცირკულარობის პრინციპების დანერგვა ნიშნავს რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, ნარჩენების მინიმიზაციას, ნედლეულის მოხმარების შემცირებას, ხარჯების შემცირებას და მოგების გაზრდას. ამრიგად, ცირკულარული ეკონომიკა ასევე ხელს უწყობს რესურსების დეფიციტისა და ფასების ცვალებადობის რისკის მინიმიზაციას.



საბაზრო შესაძლებლობები, ინოვაცია და ინვესტიციები: ცირკულარულ მოდელზე გადასვლა ხელს უწყობს ინოვაციებს და ქმნის შემოსავლის ახალ წყაროებსა და ბიზნეს მოდელებს. მათი გამოყენებით შეგიძლიათ გამოირჩეოდეთ კონკურენტებისგან, მოიზიდოთ მომხმარებელთა ახალი სეგმენტები და გაზარდოთ ბაზრის წილი. თქვენს კომპანიას ასევე შეუძლია ინვესტიორებისგან დაფინანსების წყაროებზე უკეთესი წვდომა მოიპოვოს.



რისკების მართვის გაუმჯობესება: სტრატეგიული დაგეგმვა საშუალებას გაძლევთ წინასწარ განჭვრიტოთ ტექნოლოგიური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს მოძველებულ პროცესებში ინვესტიციების თავიდან აცილებას ცვალებადი ბაზრის პირობების გამო.



ბრენდის რეპუტაცია და მომხმარებელთა ლოიალობა: ცირკულარულობა შეიძლება გააუმჯობესოს ბრენდის რეპუტაცია, გააძლიეროს მომხმარებელთა ნდობა და ხელი შეუწყოს მათ გრძელვადიან ლოიალობას.



პერსონალის დაქირავება და შენარჩუნება: თქვენი კომპანიის, როგორც ცირკულარული ბიზნესის პოზიციონირება იზიდავს ნიჭიერ პროფესიონალებს, რომლებიც გატაცებულნი არიან მდგრადი განვითარების იდეით.

პრაქტიკული მაგალითი

რევერსული ლოგისტიკური ჯგუფი(RLG): უკან დაბრუნების გადანყვეტილებები, როგორც ბიზნეს-მოდელი

რევერსული ლოგისტიკური ჯგუფი(RLG) არის „რიეკონომი ჯგუფის“ (Reconomy Group) ნაწილი, რომელიც რევერსული ლოგისტიკის სერვისების გლობალური მიმწოდებელია. კომპანია აწყობს და მართავს სერტიფიცირებული სერვისის მიმწოდებლების ვრცელ პარტნიორულ ქსელებს, რაც ხელს უწყობს პროდუქტებისა და მასალების უკან დაბრუნებას და განადგურებას. RLG ცდილობს, რომ დაბრუნების მთელი პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად განხორციელდეს ციფრული მართვის სისტემებისა და პლატფორმების გამოყენებით.

ამ პროცესში, RLG ეყრდნობა რამდენიმე ძირითად ელემენტს, მათ შორის:

- ▶ **მონაცემთა ანალიზი:** RLG აგროვებს და აანალიზებს (გარემოსთან დაკავშირებულ) მონაცემებს, რათა გაუწიოს მონიტორინგი და მოახდინოს პროდუქტების უკან დაბრუნების პროცესის ოპტიმიზაცია.
- ▶ **ავტომატური კატეგორიზაცია:** საინფორმაციო ტექნოლოგიების წყალობით, RLG ახარისხებს მილიონობით პროდუქტსა და კომპონენტს ლოკალური კატეგორიების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს დაბრუნების პროცესის ეფექტურ ორგანიზებას.
- ▶ **შესაბამისობის მართვა:** კომპანია უზრუნველყოფს დეტალურ ანგარიშგებას უკან დაბრუნების ლოგისტიკის შესახებ და შეუძლია ავტომატურად შექმნას საჭირო დოკუმენტაცია, მაგალითად, უტილიზაციისთვის, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის.

RLG-მ თავი დაიმკვიდრა, როგორც კომპანიამ, რომელიც ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას. RLG-ის მიერ დასაბრუნებელი კონტეინერების, ბატარეების, ელექტრონიკისა და შესაფუთი მასალების უკან დაბრუნების სისტემები ეხმარება ბიზნესის მფლობელებს, მწარმოებლებსა და ნარჩენების გადამუშავებით დაკავებულ კომპანიებს კანონის შესაბამისად დააკმაყოფილონ გადამუშავების რთული მოთხოვნები, და ამგვარად გაზარდონ უტილიზაციის მაჩვენებლები.

1.ნარჩენების მინიმიზაცია: RLG ამცირებს ნარჩენების რაოდენობას და ხელს უწყობს ღირებული რესურსების დაზოგვას.

2.კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა: კომპანია აქტიურად ეხმარება თავის მომხმარებლებს პროდუქციის პასუხისმგებლობისა და ნარჩენების გადამუშავების სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვაში

3.ცირკულარული ბიზნეს მოდელების მხარდაჭერა: RLG ხელს უწყობს მდგრად და ცირკულარულ ბიზნეს მოდელებს, რომლებიც ფოკუსირებულია ხელახლა გამოყენებასა და რესურსების ეფექტურობაზე.

ტექსტური ჩანართი 2: პრაქტიკული მაგალითი- რევერსული ლოგისტიკური ჯგუფი(RLG): უკან დაბრუნების გადანყვეტილებები, როგორც ბიზნეს-მოდელი

1.5 ევროკავშირის რეგულაციები

ევროკავშირის „ახალი მწვანე შეთანხმებით“ (New Green Deal) მიღებით, ევროკავშირმა მიზნად დაისახა გახდეს პირველი კონტინენტი, რომელიც მიაღწევს მდგრად ტრანსფორმაციას რესურსების მოხმარების გამიჯვნით ეკონომიკური ზრდისგან¹⁵. ამ მიზნის მისაღწევად, ევროკავშირი იყენებს მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, რომლებსაც როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გავლენა აქვთ წვერი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასა და მათ კომპანიებზე.

არასაკანონმდებლო ინსტრუმენტები ევროპულ დონეზე:

- ▶ **ევროკავშირის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები**
ევროკავშირის გრძელვადიანი მიზნებისა და პრიორიტეტების სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენენ. ისინი ქმნიან საფუძველს დამატებითი მარეგულირებელი ინსტრუმენტებისა და ზომების შემუშავებისთვის. ამრიგად, ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს უფრო მდგრადი ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას რესურსების უფრო ეფექტური გამოყენების, ნარჩენების მოცულობის შემცირებისა და პროდუქტების ექსპლუატაციის ვადის გაზრდის გზით. ეს გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ზომების მიღებას.

საკანონმდებლო მარეგულირებელი ინსტრუმენტები:

- ▶ **რეგულაციები** სავალდებულოა და პირდაპირ ვრცელდება ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაზე, რაც მოითხოვს მათ სრულ და დაუყოვნებლივ დანერგვას. მაგალითად, ევროკავშირის ტექსონომიის რეგულაცია ადგენს მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის სისტემას (როგორიცაა ცირკულარული ეკონომიკა) ინვესტიციების ამ საქმიანობებში მიმართვის მიზნით.

დირექტივები ასევე სავალდებულოა, მაგრამ ისინი განსაზღვრავენ მიზნებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე უნდა მიაღწიონ. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მიზნების მიღწევის გზები ნაწილობრივ საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიონ. დირექტივის ჩარჩო კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოთა მოქმედების ფარგლებს და ავალდებულებს მათ, დანერგონ დირექტივა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა ადგენს ნარჩენების მართვის მიზნებსა და პრინციპებს, ნარჩენების იერარქიის (მინიმიზაცია, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება) ჩათვლით, და მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან შესაბამისობაში მოიყვანონ ნარჩენების შესახებ ეროვნული კანონმდებლობა.

¹² ევროკავშირის კომისია; bit.ly/Eugreendeal

ეს ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ საერთო მიზნების მიღწევას, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებები დანერგვის პროცესში. მე-6 სურათზე ასახულია ევროპული ჩარჩოს ზემოქმედების ლოგიკა და მისი სამაგალითო ჩართვა გერმანიის კანონმდებლობაში.

ზოგიერთი რეგულაცია და დირექტივა ასევე მოიცავს ანგარიშების ვალდებულებებს:

CSRD, ESRS E5 და ცირკულარული ეკონომიკა

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა (CSRD) ევროკავშირში ანგარიშების სტანდარტის საფუძველს წარმოადგენს. მისი შემოღება ნიშნავს, რომ ევროკავშირის კომპანიებმა (როგორც მოსალოდნელია, 1000-ზე მეტი თანამშრომლითა და 50 მილიონ ევროზე¹³ მეტი ბრუნვით) CSRD-ის მოთხოვნები მმართველობის ანგარიშში უნდა შეიტანონ. მდგრადობის ანგარიშების ფარგლების გაფართოების გარდა, CSRD ორმაგი არსებითობის კონცეფციასაც წერგავს. ანგარიშების ვალდებულება გამომდინარეობს როგორც ზემოქმედების არსებითობიდან, ისე ფინანსური არსებითობიდან.

ეს ნიშნავს, რომ მდგრადობის ასპექტი ანგარიშგებაში უნდა აისახოს, თუ ის არსებითად მიიჩნევა ერთ-ერთი ან ორივე თვალსაზრისით.

მდგრადობის ანგარიშების ევროპული სტანდარტები (ESRS) განსაზღვრავს ანგარიშების შინაარსობრივ მოთხოვნებს. „რესურსების გამოყენებისა და ცირკულარული ეკონომიკის“ სტანდარტის (ESRS E5) ძირითადი მიზანია კომპანიის რესურსების მოხმარების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და რესურსების დამზოგავი, ცირკულარული ეკონომიკისკენ მიღწეული პროგრესის შეფასება.

სტანდარტი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გაამჟღავნოს თქვენმა ორგანიზაციამ ინფორმაცია რესურსების ნაკადების, ადაპტაციის გეგმების, რისკებისა და შესაძლებლობების, ღონისძიებებისა და ფინანსური ზემოქმედების შესახებ. კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიშგება როგორც სტრატეგიულ, ასევე პროდუქტის დონეზე, ახსნან, თუ როგორ ინარჩუნებენ მასალებისა და რესურსების ღირებულებას რაც შეიძლება დიდხანს, მათი ეფექტური გამოყენების მაქსიმიზაციით. მიზანია ანგარიშგების წარდგენა არა მხოლოდ მიღებული ზომების, არამედ მათი ფაქტობრივი ზემოქმედების შესახებაც.

13 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით: CSRD-ის ორიგინალური რეგულაცია ამჟამად განხილვის პროცესშია (ომნიბუსის პაკეტი); bit.ly/omnibus_Pack

გარდა იმ მოთხოვნისა, რომ გაამჟღავნოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება სტრატეგია, ღონისძიებები და ბიზნეს-მოდელი ცირკულარობის პრინციპებს, ESR5 ასევე მოიცავს ტრანზიციის შეფასებას ფიზიკური მასალებისა და პროდუქტების ნაკადების საფუძველზე. ამრიგად, ეკონომიკის ცირკულარობის უზრუნველყოფის არაეფექტური ზომები პირდაპირ რისკს წარმოადგენს კომპანიების რეპუტაციისთვის. და პირიქით, ეფექტური ზომების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ხელს უწყობს დადებითი იმიჯის ფორმირებას.

თქვენი კომპანიის ფინანსური არსებობის გაცნობიერება ხელს უწყობს რისკების შემცირებას და შესაძლებლობების გამოყენებას, უზრუნველყოფს გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობას და მის ინტეგრირებას ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიაში. ESR5-ს შეუძლია დაეხმაროს ბევრ კომპანიას, დაიწყოს ცირკულარობის პრინციპების საკუთარ პროცესებზე გამოყენების შედეგების შესწავლა. თუ ეს თქვენს კომპანიას ეხება, გირჩევთ, მდგრადი განვითარების ანგარიშგება CSRD-ის შესაბამისად გამოიყენოთ, როგორც შესაძლებლობა, სტრატეგიულად დანერგოთ ცირკულარობის პრინციპები გრძელვადიან პერსპექტივაში.

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) ასევე ზრდის ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის აქტუალურობას იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ ექვემდებარებიან ანგარიშგების ვალდებულებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ CSRD-ს ანგარიშგების ქვეშ მყოფი კომპანიები საკუთარ თავს და თავიანთ მიწოდების ჯაჭვებს ცირკულარული წესით მოაწყობენ. მცირე კომპანიებს, რომლებიც ამ ტენდენციას არ მიჰყვებიან, კონკურენტული უპირატესობის დაკარგვის რისკი ექმნებათ. ნებაყოფლობითი მდგრადობისა და მართვის ანგარიშგების სტანდარტები (VSME) ასევე აძლევს მცირე კომპანიებს შესაძლებლობას, გამოიყენონ CSRD სანდო, პოზიტიური გარე იმიჯის შესაქმნელად.

ტექსტური ჩანართი 3: CSRD, ESR5 და ცირკულარული ეკონომიკა



ევროკავშირი (შერჩევა)

ევროკავშირის მწვანე შეთანხმება

მდგრადი და ცირკულარული ტექსტილის სტრატეგია

მწვანე შეთანხმების ინდუსტრიული გეგმა

სუფთა ინდუსტრიული შეთანხმება

ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა

დირექტივები (საკანონმდებლო)

ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივა	ერთჯერადი გამოყენების პლასტმასი
ნარჩენების ნაგავსაყრელები	ევროკავშირის „მწვანე განცხადებები“
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები(WEEE)	შეკეთების/ აღდგენის უფლება
სატრანსპორტო საშუალებების სასიცოცხლო ციკლის დასასრული	
კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა (CSRD)	

რეგულაციები (საკანონმდებლო)

რეგულაცია მდგრადი პროდუქტების ეკოდიზაინის შესახებ	
კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნედლეულის შესახებ	
ელემენტები და გამოყენებულიელემენტები	
რეგულაცია შეფუთვისა და შესაფუთი ნარჩენების შესახებ	...

ანგარიშების ვალდებულებები

კორპორაციული
მდგრადობის
ანგარიშების
დირექტივა (CSRD)

ევროკავშირის
ტაქსონომია

კორპორაციული
მდგრადობის
სათანადო
შემოწმების
დირექტივა (CSDDD)

ევროკავშირის
მდგრადი
ფინანსების
გამჟღავნების
რეგულაცია (SFDR)

სურათი 6: სამართლებრივი ჩარჩო ცირკულარული ეკონომიკისთვის ევროკავშირსა და გერმანიაში¹⁵

21. Own presentation based on German Advisory Council on the Environment (SRU) (2020): Für eine entschlossene Umweltpolitik in (For effective environmental policy in Germany and Europe)

ნაბიჯები ცირკულარული ეკონომიკის ყოველდღიური სტრატეგიისკენ

ზეგავლენაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შესამუშავებლად, თქვენ ან თქვენმა კომპანიამ რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროთ. ამ გზამკვლევაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ სამ ნაბიჯზე და შესაბამის ქვენაბიჯებზე:

წინასწარი ანალიზი

- ▶ კორპორაციულ სტრატეგიაში მდგრადობის მნიშვნელობის განსაზღვრა.
- ▶ ამბიციებისა და მოტივაციის დადგენა: რატომ უნდა იყოს ცირკულარული ეკონომიკა ინტეგრირებული კორპორაციულ სტრატეგიაში?
- ▶ ინტერ ფუნქციური თანამშრომლობის საჭიროების გამოვლენა.

2.1

არსებული მდგომარეობის შეფასება

- ▶ გარემოს ანალიზი
- ▶ ღირებულებათა ჯაჭვისა და დაინტერესებულ მხარეთა რუკა
- ▶ არსებითობის ანალიზი: ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები
- ▶ პრიორიტეტული საშოქმედო სფეროები და თანამშრომლობა

2.2

სტრატეგიული შესაბამისობა და ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის მიზნები

- ▶ ცირკულარული ეკონომიკის შისია და ხედვა
- ▶ სტრატეგიული მიდგომები ცირკულარული ეკონომიკისადმი: მოქმედების შესაძლებლობები
- ▶ ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის მიზნები

2.3

ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის გზები

- ▶ დანერგვის ღონისძიებები
- ▶ საგზაო რუკა
- ▶ მმართველობა

სურათი 7: ეტაპები, რომლებიც აღწერილია სტრატეგიის გზამკვლევაში ზეგავლენაზე ორიენტირებული ცირკულარული სტრატეგიის განსახორციელებლად.

თითოეული ეს სამი ნაბიჯი მოიცავს პრაქტიკულ ინსტრუქციებს და ეფუძნება შემდეგ საკვანძო კითხვებს:

- რას ნიშნავს ეს ნაბიჯი? (განმარტება)**
- რატომ არის ეს ნაბიჯი რელევანტური? (მიზანი)**
- როგორ შემიძლია მივალწიო ჩემს მიზანს? (პროცესი)**

წინასწარი ანალიზის ეტაპზე, თქვენ უნდა დააზუსტოთ მდგრადობის მნიშვნელობა კორპორაციულ სტრატეგიაში და განსაზღვროთ უფროსი მენეჯმენტის ჩართულობის დონე. ამის საფუძველზე შესაძლებელია ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის საკვანძო პუნქტების იდენტიფიცირება, რომლებიც შიდა კომუნიკაციის საფუძველს წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რატომ სურს თქვენს ორგანიზაციას ცირკულარულობაში ჩართვა (მაგალითად, არის თუ არა ანგარიშგების მოთხოვნები მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი? ითხოვენ თუ არა თქვენი კორპორაციული მომხმარებლები ამგვარ ქმედებას? თუ ეს ვალდებულება კომპანიის ღირებულებებს ასახავს?).

თქვენს კომპანიაში ცირკულარული ორიენტაციის დანერგვა თავიდანვე მოითხოვს სხვადასხვა დეპარტამენტისა და ფუნქციური დანაყოფის ჩართულობას. არსებული მდგომარეობის ანალიზის ეტაპიდან მოყოლებული, ფუნქციატშორისი თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ცირკულარული ეკონომიკის თქვენი სტრატეგიის წარმატებაში.

თქვენს კომპანიაში ცირკულარობის დანერგვა თავიდანვე მოითხოვს სხვადასხვა დეპარტამენტისა და ფუნქციური დანაყოფის ჩართულობას. არსებული მდგომარეობის ანალიზის ეტაპიდან მოყოლებული, ფუნქციატშორისი თანამშრომლობა გადამწყვეტ როლს ასრულებს ცირკულარული ეკონომიკის თქვენი სტრატეგიის წარმატებაში.

ეს წინასწარი მოსაზრებები პირდაპირ გავლენას ახდენს ამ გზამკვლევაში ასახულ კონკრეტულ ნაბიჯებზე.¹⁶

გთხოვთ გაითვალისწინოთ: არ არის აუცილებელი, რომ ზემოთ მოცემული სამი ნაბიჯი ზუსტად მე-7 სურათზე ნაჩვენები თანმიმდევრობით შეასრულოთ, რადგან თითოეულ კომპანიაზე თავისი უნიკალური საწყისი პოზიცია აქვს. შეგიძლიათ დაიწყოთ მიმდინარე მდგომარეობის დეტალური ანალიზით და შესაბამისი მიზნების განსაზღვრით, ან პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების (მმართველობის) დადგენით, რაც შეიძლება უფრო ეფექტური პირველი ნაბიჯი იყოს თქვენი კომპანიისთვის.

თანმიმდევრობა დიდწილად დამოკიდებულია ცირკულარულობასთან დაკავშირებულ არსებულ სტრუქტურებსა და კომპეტენციებზე, ასევე თქვენს კონკრეტულ როლზე კომპანიაში. გამოიყენეთ ეს გზამკვლევი და მისი ცალკეული ნაწილები თქვენი კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

16 თქვენს ორგანიზაციაში ცირკულარული მმართველობის დამკვიდრების შესახებ განხილვისთვის იხილეთ 2.3 გ) ნაწილი „მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბება“.

პრაქტიკული მაგალითი: ელექტრომონყობილობების მწარმოებელი

რეალური მაგალითების პარალელურად, ჩვენ შევიმუშავეთ ელექტრომონყობილობების მწარმოებელი კომპანიის გამოგონილი შემთხვევა, რათა წარმოვადგინოთ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შექმნის ეტაპები. თქვენ შეგიძლიათ ამოიცნოთ გამოგონილი მაგალითი ტექსტის გარშემო არსებული იისფერი საზღვრით. მოცემული გრაფიკა არ წარმოადგენს შინაარსის შეფასებას, არამედ გამოყენებულია ამ დოკუმენტში აღწერილი ინსტრუმენტების თვალსაჩინოებისთვის.



ძირითადი მონაცემები:

- ▶ ელექტრომონყობილობების მწარმოებელი დაახლოებით 1000 თანამშრომლით და დაახლოებით 250 მილიონი ევროს წლიური ბრუნვით.
- ▶ კომპანია ემსახურება როგორც საბოლოო მომხმარებლებს, ასევე B2B(ბიზნესი ბიზნესისთვის) მომხმარებლებს.
- ▶ კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს გერმანიაში.



ღირებულებათა ჯაჭვი:

- ▶ ნედლეული, როგორიცაა ლითონები, პლასტმასი და იშვიათ მინათა ელემენტები, მოიპოვება ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ ამერიკაში.
- ▶ გერმანიაში არსებული საწარმოო ობიექტების გარდა, გლობალურ მოთხოვნას ასევე აკმაყოფილებენ აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში განლაგებული საწარმოებიც .
- ▶ კომპანია თავის პროდუქციას ძირითადად ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში ყიდის.



მისწრაფბა:

- ▶ ამ დრომდე, კომპანია ფოკუსირებული იყო მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნებისა და სტანდარტების დაცვაზე.
- ▶ ახლა ცირკულარულობა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს.
- ▶ მიზანია გრძელვადიანი რესურსების დაზოგვის, გადამუშავებისა და მდგრადობის ხელშეწყობა კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროში, რითაც გაუმჯობესდება როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური მაჩვენებლები.

2.1 სტატუს კვოს შეფასება

სტატუს კვოს ეფექტური შეფასება ხშირად კომპანიის ცირკულარული ტრანსფორმაციის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ეს პროცესი მოიცავს თავად კომპანიის, მისი ღირებულებათა ჯაჭვისა და მიწოდების ქსელის საფუძვლიან, ცოდნაზე დაფუძნებულ ანალიზს, რომელიც ხორციელდება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

სტატუს კვოს ანალიზი სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას აგროვებს და გეხმარებათ შემდეგში:

- ▶ თქვენს კომპანიაში არსებული ცირკულარულობის ამჟამინდელი მდგომარეობის მიმოხილვა და ბაზარზე თქვენი პოზიციის შეფასება.
- ▶ კომპანიის როლის და მოქმედების შესაძლებლობები დააზუსტება ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისა და შესაბამისი დაინტერესებულ მხარეთა დადგენის მეშვეობით.
- ▶ ბიზნეს საქმიანობებისა და მასთან დაკავშირებული ზემოქმედების, შესაძლებლობებისა და რისკების დანახვა არსებითობის ანალიზის მეშვეობით.

სტატუს-კვოს ანალიზი, კერძოდ, ხელს უწყობს თქვენი კომპანიის ამჟამინდელი პოზიციის და მისგან გამომდინარე მოქმედების ვარიანტების გააზრებას. ის წარმოადგენს საფუძველს ინფორმირებული და ზემოქმედებაზე ორიენტირებული სტრატეგიული ფოკუსირების საფუძველს.

A) კორპორაციული გარემოს ანალიზი

რა

კორპორაციული გარემოს ანალიზი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს თქვენი კომპანიის ამჟამინდელი მდგომარეობის გასაგებად. ის უზრუნველყოფს ცირკულარულობასთან დაკავშირებული გარე ფაქტორების ყოვლისმომცველ მიმოხილვას.

კორპორაციული გარემო ორ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- ▶ მიკროგარემო: მოიცავს შესაბამის ბაზარზე არსებულ ფაქტორებს უფრო ვიწრო გაგებით, როგორიცაა მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან ურთიერთობები და მოთხოვნები, კონკურენტები, ინვესტორები, ბაზრის მიმდინარე პირობები და ა.შ.
- ▶ მაკროგარემო: მოიცავს ფაქტორებს, რომლებზეც კომპანიას შეზღუდული გავლენა აქვს, მათ შორის პოლიტიკურ, მაკროეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და სამართლებრივ ჩარჩო პირობებს.

რატომ

ანალიზი უზრუნველყოფს თქვენი კომპანიის ცირკულარული ბიზნეს საქმიანობის მიმდინარე და სამომავლო გარემოს მიმოხილვას, რაც საშუალებას გაძლევთ, უფრო ეფექტურად შეაფასოთ ისინი. ანალიზი დაგეხმარებათ, ადრეულ ეტაპზე დაადგინოთ ცირკულარულობის შესაძლებლობები და გამოწვევები. ასევე, ის საშუალებას გაძლევთ, უფრო ეფექტურად მოარგოთ გადანაცვეტილებები თქვენი ბიზნეს გარემოს სპეციფიკურ დინამიკას, რაც თქვენი კომპანიის მდგრადობასა და გამძლეობას აუმჯობესებს.

თქვენი ბიზნეს გარემოს სტრატეგიული ანალიზი ქმნის საფუძველს ახალი შესაძლებლობებისთვის და ხელს უწყობს ცირკულარული სტრატეგიის პრიორიტეტულობას.

როგორ

კორპორაციული გარემოს ანალიზი ეფუძნება ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული შემდეგი საკვანძო კითხვების შესწავლასა და მათზე პასუხის გაცემას: როგორია თქვენი კომპანიის პოზიცია რესურსების ნაკადების შემცირებასა და შენელებასთან დაკავშირებით (მაგალითად, პრევენციის თუ აღდგენის გზით)? გამოიყენება თუ არა ეკოლოგიურად მდგრადი მასალები? რამდენად მაღალია პროდუქციის გამოყენების ინტენსივობა? შესაძლებელია თუ არა რესურსების ციკლების ეფექტურად შეკვრა? მომავლის ქრილში: როგორ გამოიყურება თქვენი კომპანია სხვებთან შედარებით?

პირობები:

1. ანალიზის ფარგლების განსაზღვრა

პირველ რიგში, გადანაცვით, უნდა მოხდეს თუ არა თქვენი კომპანიის გარემოს ანალიზი მთლიანად, თუ ცალკეული ორგანიზაციული ერთეულების, მაგალითად, დეპარტამენტების, ფარგლებში. ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, ბიზნესის რომელი ასპექტები (მაგალითად, შესყიდვები, ბიზნეს მოდელი) საჭიროებს განხილვას. გაითვალისწინეთ, რომ თუ თავდაპირველად ცალკეულ ერთეულზე გაამახვილებთ ყურადღებას, კომპანიის დანარჩენი ნაწილიც გარემოს ნაწილია და შესაბამისად, ისიც გარემოს ანალიზის ნაწილს წარმოადგენს.

ამ ეტაპზე, თქვენ უნდა დააკავშიროთ შერჩეული ასპექტები ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებთან და მიზნებთან: რესურსების ნაკადების შემცირება, მასალების ჩანაცვლება, რესურსების ნაკადების შენელება, პროდუქტის გამოყენების ინტენსიფიკაცია და რესურსების ციკლების

ჩაკეტვა. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს სხვადასხვა ბიზნეს მოდელის ანალიზს პროდუქტის გამოყენების ინტენსიფიკაციის პრინციპთან მიმართებაში.

შემდეგ, ხდება გასაანალიზებელი ფაქტორების შერჩევა. მათ შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც გარე ფაქტორები, როგორიცაა საბაზრო გარემო, რეგულაციები, ტექნოლოგია და სოციალური თუ კულტურული ტენდენციები, ასევე შიდა ფაქტორები, როგორიცაა რესურსები და კომპეტენციები, ტექნოლოგიები, უნიკალური სარეალიზაციო წინადადებები (USP) და/ან კორპორაციული სტრუქტურა.

2. ანალიზის ინსტრუმენტის შერჩევა

მას შემდეგ, რაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს გამოავლენთ, შეგიძლიათ შეარჩიოთ ინსტრუმენტები უკვე არსებული ანალიზის ინსტრუმენტებიდან, მათ შორის:

ანალიზის ინსტრუმენტი + აღწერა	უპირატესობა	ნაკლი	შესაფერისია...
PESTEL ანალიზი: მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სამართლებრივი (იხილეთ მაგალითი 2)	ოვლისმომცველი მიმოხილვა	შეიძლება უგულებელყოს ინდუსტრიის კონკრეტული ასპექტები	... დამწყებთათვის: ძალიან კარგია ... მოწინავეებისთვის: ძალიან კარგია
ინდუსტრიის ანალიზი: ინდუსტრიისთვის სპეციფიკური მახასიათებლებისა და ტენდენციების გათვალისწინება, როგორიცაა კონკურენტული გარემო, ბაზრის ტენდენციები, მომხმარებელთა ქცევა და გამოწვევები.	ინდუსტრიის დეტალური შესწავლა	მოთხოვნს ბევრ დროს და რესურსს	... დამწყებთათვის: საშუალოდ შესაფერისია ... მოწინავეებისთვის: კარგია
ხუთი ძალა (M. PORTER-ის მიხედვით): შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: მომწოდებლები, მომხმარებლები, პოტენციური ახალი მომწოდებლები, შემცველი პროდუქტები და ინდუსტრია.	კომპანიის სისტემატური ანალიზი	ფოკუსირება საკუთარ ბიზნეს სექტორზე და კონკურენტულ ურთიერთობებზე, თანამშრომლობის ან ფუნქციური ურთიერთქმედების გამორიცხვით.	... დამწყებთათვის: საშუალოდ შესაფერისია ... მოწინავეებისთვის: კარგია
კონკურენტული ანალიზი: ფოკუსირება პირდაპირ კონკურენტებზე, მათ სტრატეგიასა და პოზიციონირებაზე	კონკურენტების უშუალო ანალიზი	მონაცემებზე წდომა, როგორც წესი, რთულია	... დამწყებთათვის: ნაკლებად შესაფერისი ... მოწინავეებისთვის: კარგია
მომხმარებლის ანალიზი: ფოკუსირება მომხმარებლის საჭიროებებზე	მომხმარებლების საჭიროებების სიღრმისეული გაგება	მონაცემებისა და მეთოდების ინტენსიური გამოყენება	... დამწყებთათვის: საშუალოდ შესაფერისია ... მოწინავეებისთვის: საშუალოდ შესაფერისია

სურათი 8: ინსტრუმენტების შერჩევა კორპორაციული გარემოს ანალიზისთვის

3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით

შემდეგი ნაბიჯი, რომელიც ანალიზის ინსტრუმენტის შერჩევას მოყვება ეხება შინაარსთან მუშაობაობას.

ამ ეტაპზე დაგეხმარებათ სავანძო კითხვები, რომლებიც შეეხება იმას, თუ როგორ არის აგებული კორპორაციული გარემო ცირკულარულ ეკონომიკასთან მიმართებაში. მაგალითად:

- ▶ ცირკულარული ეკონომიკის რომელი მიმდინარე და სამომავლო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩო პირობები ახდენს გავლენას კომპანიაზე (მაგალითად, სამართლებრივი მოთხოვნები, სუბსიდირების პროგრამები, გარემოსდაცვითი შეთანხმებები)?
- ▶ რა ეკონომიკური ტენდენციები და მოვლენები ახდენს გავლენას მასალების ხელმისაწვდომობაზე ან ფასებზე?
- ▶ როგორ ვითარდება მომხმარებლის ცნობიერება?
- ▶ როგორ პოზიციონირებენ კონკურენტები ცირკულარობასთან დაკავშირებით?
- ▶ რომელი მიმდინარე პროდუქტები და მომსახურება შეესაბამება ცირკულარული ეკონომიკის მომავალს?
- ▶ როგორ უნდა იყოს მოწყობილი მიწოდების ჯაჭვები ცირკულარული ეკონომიკის მხარდასაჭერად?

შინაარსის შემუშავება შესაძლებელია ისეთი მეთოდებით, როგორიცაა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, ლიტერატურის კვლევის ჩატარება, გარე საკონსულტაციო მომსახურების შეძენა ან სხვა მიდგომები. მონაცემების შეგროვების შემდეგ, შემდეგი ნაბიჯი არის გამოვლენილი თემების დიაპაზონის შეფასება. შეფასების შესაძლო კრიტერიუმები მოიცავს კომპანიის გავლენას შესაბამისი გარემოს ფორმირებაზე, დადებით ან უარყოფით ზემოქმედებას კომპანიაზე, ან რამდენიმე კრიტერიუმის კომბინაციას.

ექსკურსი: ციფრული ტექნოლოგიები

დიგიტალიზაციას, იქნება ეს ოპტიმიზებული პროცესების თუ თანამედროვე აპარატურის მუშეობით, შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ცირკულარული ბიზნეს მოდელის დანერგვას.

▶ **მრეწველობა და გარემოს დაცვის მართვა 4.0:** ციფრული ტექნოლოგიების წარმოების პროცესებში ინტეგრირება ხელს უწყობს მოქნილ და ეფექტურ წარმოებას.

▶ **ნივთების ინტერნეტი (IoT):** აკავშირებს მოწყობილობებს და მანქანებს, უზრუნველყოფს მონაცემთა ავტომატიზებულ ანალიზს და პროცესის კონტროლს, ოპტიმიზაციას უკეთეს რესურსების მონმარებას და ამცირებს ნარჩენებს

▶ **რეალურ დროში მიღებული მონაცემები და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მონაცემები:** პროდუქტების გამოყენებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ხელს უწყობს პროდუქტის მდგრად დიზაინს, ოპტიმიზაციას, შეკეთებას, ხელახალ გამოყენებას და გადამუშავებას (მაგ. RFID ჩიპები)





3

პოლიტიკური

ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა.

ე

ეკონომიკური

ბაზრის მოთხოვნა: მდგრად პროდუქტებსა და გადაწყვეტილებებზე მზარდი მოთხოვნა ხელს უწყობს ცირკულარული ელექტრონიკის ინდუსტრიის ზრდას და ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის.

ს

სოციალური

შრომის ბაზარი: ცირკულარული და მდგრადი ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიციური პროფესიონალების ხელმისაწვდომობა და კვალიფიკაცია გადამწყვეტია ახალი საბაზრო შესაძლებლობების განვითარებისთვის.

ე

ტექნოლოგიური

ინოვაცია: ტექნოლოგიურ მიღწევებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ელექტრონული მოწყობილობებისთვის უფრო მოდულური დიზაინის შექმნას, რაც გაამარტივებს მათ შეკეთებასა და გადამუშავებას.

ე

ეკოლოგიური

ნედლეულის ხელმისაწვდომობა: ნედლეულის მდგრადობა და ხელმისაწვდომობა გადამწყვეტი ფაქტორებია. მოხმარების შემცირებას ხელახალი გამოყენების გზით შეუძლია შეამციროს გარემოზე ზემოქმედება და ეკოლოგიური კვალი.

ლ

ლეგალური

რეგულაციები: ევროკავშირის დირექტივის დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტების შეკეთებას რესურსების შესანარჩუნებლად. ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ბოლო ვადაა 2026 წლის 30 ივნისი.

მაღალი

კომპანიის
ზეგავლენა

დაბალი

გავლენას ახდენს თქვენს
კომპანიაზე

ე

აქტიური პოზიციონირება და
შესაძლებლობების
ჩამოყალიბება

ე

ე

ლ

განვითარების თვალყურის დევნება
და ადაპტაციის სტრატეგიების
შემუშავება

ს

3

საჭიროებს შერბილების სტრატეგიებს

უარყოფითი

ნეიტრალური

დადებითი

ელექტრომოწყობილობების გამოგონილი მწარმოებელი — მაგალითი 2:
კორპორატიული გარემოს ანალიზის შეფასება



B) ელექტრომონყობილობების გამოგონილი მხარმოებალი — მაგალითი 2: კორპორაციული გარემოს ანალიზის შეფასება

რა

ღირებულებათა ჯაჭვისა და დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა ვიზუალურად ასახავს ყველა იმ ნაბიჯს, რომელსაც მომსახურება, მასალა თუ პროდუქტი გადის ნედლეულის მოპოვებიდან საბოლოო განადგურებამდე. სრული პრეზენტაცია მოიცავს ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს, მათ ბიზნეს ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს.

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი გვაძლევს სრულ მიმოხილვას ყველა იმ ურთიერთქმედების შესახებ, რომელიც საჭიროა პროდუქტის შესაქმნელად ან ნედლეულის მოსაპოვებლად. ის ასახავს სხვადასხვა ეტაპს, მათ შორის მოპოვებას, წარმოებას, საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებას, გამოყენებას და საბოლოო განადგურებას გამოყენების შემდეგ. დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა კი საშუალებას გაძლევთ, დაადგინოთ ის პიროვნებები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ თქვენს ბიზნეს საქმიანობაზე ან თავად განიცდიან მის ზემოქმედებას.

რატომ

ეს კომპლექსური მიდგომა დაგეხმარებათ თქვენ და თქვენს კომპანიას, ნათლად განსაზღვროთ ღირებულების შექმნის შიდა და გარე ეტაპები — ღირებულების შექმნის ჯაჭვის როგორც ზედა, ისე ქვედა დონეზე.

ანალიზის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ:

- ▶ მიიღოთ ინფორმაცია რესურსების ნაკადებზე და შეაფასოთ მათთან დაკავშირებული მდგრადობის ასპექტები (მაგალითად, ბიომრავალფეროვნება, წყალი, კლიმატი ან სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება);
- ▶ განსაზღვროთ თანამშრომლობის შესაძლებლობები ღირებულების შექმნის მთელ ჯაჭვში;
- ▶ დაადგინოთ და ჩართოთ შესაბამისი დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები (მაგალითად, მარეგულირებელი ორგანოები, ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები).

ღირებულებათა ჯაჭვისა და დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა ქმნის ცოდნის ბაზას ცირკულარული და ურთიერთდაკავშირებული ღირებულების შესაქმნელად. ამგვარი მიმოხილვა აუმჯობესებს თქვენი კომპანიის საქმიანობის გაგებას ცირკულარულ ეკოსისტემაში.

როგორ

ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისას, კომპანიის სხვადასხვა აქტივობება იყოფა სამ კატეგორიად: სანყისი, პირდაპირი და საბოლოო საქმიანობება:

- ▶ სანყისი აქტივობები არის ნებისმიერი საქმიანობება, რომელიც ხორციელდება კომპანიაში ფაქტობრივი წარმოების დაწყებამდე. ეს საქმიანობება შეიძლება მოიცავდეს არამატერიალურ აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან.
- ▶ პირდაპირი აქტივობები არის ფაქტობრივი წარმოება და დამზადება (საბოლოო) პროდუქტების ან მომსახურების მიწოდება კომპანიის მიერ.
- ▶ საბოლოო აქტივობები მოიცავს ყველა პროცესს, რომელიც ხორციელდება კომპანიის სამენარმეო საქმიანობის შემდეგ.


პირობები:

1. ღირებულებათა ჯაჭვის ძირითადი ეტაპების იდენტიფიცირება

ღირებულებათა ჯაჭვის საფუძვლიანი ანალიზისთვის აუცილებელია განვიხილოთ სულ მცირე ხუთი სფერო, რომლებიც მოცემულია მე-3 მაგალითში:

- ▶ ნედლეულის მოპოვება
- ▶ მომწოდებლები
- ▶ საკუთარი ოპერაციები
- ▶ გამოყენების ეტაპი
- ▶ სასიცოცხლო ციკლის დასასრული (პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დასრულება); შესაძლოა ახალი ცირკულარული ციკლის დასაწყისი

ამ ეტაპების დაყოფის დეტალიზაციის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს. მომწოდებლები ხშირად წარმოადგენენ კომპანიების ჯაჭვს და შეიძლება მოიცავდნენ დამატებით ქვე-ეტაპებს, როგორცაა ნედლეულის გადამამუშავება და შემდგომი შუალედური პროდუქტების წარმოება, სანამ ისინი შემდგომში გადამამუშავდება საბოლოო პროდუქტად თქვენი კომპანიის პირდაპირი ოპერაციების ფარგლებში. ანალოგიურად, კომპანიის საკუთარი ოპერაციები ხშირად მოიცავს წარმოების რამდენიმე ეტაპს, განსაკუთრებით რთული კორპორაციული სტრუქტურების ან პროდუქციის ფართო ასორტიმენტის შემთხვევაში. მიზანია საკმარისად დეტალური დაყოფის შედგენა, რომელიც საშუალებას მოგცემთ ჩაატაროთ მნიშვნელოვანი ანალიზი, რომელიც აქტუალურია თქვენი კომპანიისთვის.



2.¹

2. შესაბამისი მასალების, პროდუქტებისა და მომსახურების აღრიცხვა და დოკუმენტირება

დეტალიზაციის დონის განსაზღვრის შემდეგ, შეგიძლიათ ყველაზე მნიშვნელოვანი მასალების, პროდუქტებისა და მომსახურების სტრუქტურირება ღირებულების ჯაჭვის ცალკეული ეტაპების მიხედვით. ამ ხარისხობრივი შეფასებისთვის რეკომენდებულია რისკებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების ჯაჭვის უფრო ღრმა დონეების შესახებ ინფორმაციის მიღება რთულია ან შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, დაშვებები უნდა გაკეთდეს მატერიალური ნაკადების შესახებ გლობალური მეტამონაცემების საფუძველზე (იხ. მაგალითი 4). უფრო ღრმა მიწოდების ჯაჭვის შესახებ ინფორმაცია გადამწყვეტია ღირებულების ფაქტობრივი ჯაჭვის ზუსტი რუკის შესაქმნელად. ამავდროულად, ეს მონაცემები აქტუალურია დაინტერესებული მხარეებისთვის შემდეგ ეტაპზე. ამ ინფორმაციის შეგროვებით, თქვენ ასევე ხელსუწყობთ მეტ გამჭვირვალობას, რაც სასარგებლოა საბოლოო ეტაპის სტრატეგიული განხილვისთვის.



ელექტროსაშენი მოწყობილობების მწარმოებელი გერმანიაში ყიდულობს ალუმინის ინდივიდუალურად დამზადებულ კომპონენტებს და ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას თავის უშუალო მომწოდებელთან (პირველი დონე). თუმცა, კომპანიას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საიდან იღებს მისი მომწოდებელი შუალედურ პროდუქტებს (მეორე დონე) ან ნედლეულს (შემდგომი დონეები).

თუ კონკრეტული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, მწარმოებელმა უნდა გააკეთოს სანდო და საფუძვლიანი ვარაუდები. მაგალითად, მსოფლიოში ექსპორტირებული ალუმინის მადნების 57%-ზე მეტი მოდის გვინეადან. ამ ვარაუდის საფუძველზე, კომპანიას შეუძლია გადადგას შემდეგი ნაბიჯები სტატუს კვოს ანალიზის პროცესში.

გამოგონილი მწარმოებელი — მაგალითი 4: მიღწეული მომწოდებლების ჯაჭვთან დაკავშირებული ვარაუდები

3. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია

მას შემდეგ, რაც ღირებულებათა ჯაჭვის შესაბამის ეტაპებსა და შუალედურ პროდუქტებს განსაზღვრავთ, ანალიზის დასასრულებლად დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა დაგჭირდებათ. ამ კონტექსტში, დაინტერესებული მხარეები მოიცავს ყველა შესაბამის შიდა და გარე ჯგუფს თუ პიროვნებას, რომლებიც გავლენას ახდენენ თქვენს ბიზნეს საქმიანობაზე ან თავად განიცდიან მის ზემოქმედებას. ზემოქმედება-ინტერესის მატრიცის საშუალებით შესაძლებელია იმის ვიზუალიზაცია, თუ რა გავლენა აქვთ დაინტერესებულ მხარეებს თქვენს ღირებულებათა ჯაჭვზე სხვადასხვა ეტაპზე და როგორია მათი კონკრეტული ინტერესები. ეს ანალიზი ასევე დაგეხმარებათ პოტენციური მომავალი პარტნიორობის იდენტიფიცირებაში.

დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა მოითხოვს სხვადასხვა შიდა გუნდს შორის თანამშრომლობას. ამ გუნდებში შედიან: მდგრადობისა და გარემოს დაცვის ოფიცრები, შესაბამისობის მენეჯერები, მიწოდების ჯაჭვისა და ლოჯისტიკის ექსპერტები, შესყიდვების სპეციალისტები, ასევე მარკეტინგისა და გაყიდვების წარმომადგენლები. ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს პროცესში გარე ექსპერტების ჩართვა, განსაკუთრებით იმ პირების, რომლებსაც აქვთ სპეციალიზებული ცოდნა დაინტერესებული მხარეების გავლენისა და ინტერესების შესახებ და შეუძლიათ უფრო ყოვლისმომცველი პერსპექტივის განსაზღვრა.



პოტენციური დაინტერესებული მხარეები

1 ნედლეულის მომპოვებელი კომპანიები

ამ კომპანიებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა მოპოვების მეთოდების შემუშავებას და უზრუნველყოფს ნედლეულის ეფექტურ და მდგრად მოპოვებას.

2 მომწოდებლები

მომწოდებლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მდგრადობის მოთხოვნებისა და ხარისხის სტანდარტების შესახებ, რათა უზრუნველყონ ეკოლოგიურად სუფთა მასალებისა და პროცესების გამოყენება.

3 კლიენტები (B2B) და მომხმარებლები (B2C)

როგორც B2B, ისე B2C მომხმარებლები აქტიურ ჩართულობას და მტკიცე მენეჯმენტს საჭიროებენ, რათა სრულად გაიგონ და მხარი დაუჭირონ პროდუქტების ცირკულარულობის უპირატესობებს.

4 შიდა დაინტერესებული მხარეები

შიდა დაინტერესებული მხარეები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი პროდუქტების ცირკულარული თვისებებისა და მათი გარემოსდაცვითი სარგებლის შესახებ, რათა ეფექტურად შეძლონ ამ ცოდნის კომუნიკაცია როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიასთან.

5 ნარჩენების მართვის კომპანიები

ეს კომპანიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის დანერგვასა და ცირკულარობის ხელშეწყობაში.



პოტენციური დაინტერესებული მხარეები

6 კვლევითი დაწესებულებები

კვლევისა და განვითარების (R&D) ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს ახალი მდგრადი მასალებისა და ცირკულარული წარმოების მეთოდების განვითარებას.

7 კონკურენტები

ბაზარზე არსებული კონკურენტების მონიტორინგი ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიების იდენტიფიცირებას. საერთო მომწოდებლებს შორის თანამშრომლობის გზით, შესაძლებელია ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკის წახალისება და გაძლიერება.

8 მარეგულირებელი ორგანოები

ხელისუფლება უზრუნველყოფს მდგრადი პროცესების ყველა სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

9 გარემოსდაცვითი ორგანიზაციები/არასამთავრობო ორგანიზაციები


ეს ორგანიზაციები ხშირად ასრულებენ საზედამხებველო როლს, აფასებენ ბიზნეს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობენ მდგრადი პრაქტიკის დანერგვას.

10 ადგილობრივი თემები

ადგილობრივი თემები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმ ბიზნეს საქმიანობების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა სოციალურ-გარემოსდაცვითი გავლენა იქონიონ მათზე. ეს ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ნდობას.

ელექტრომონყობილობების გამოგონილი მწარმოებელი—მაგალითი 5:
დაინტერესებულ მხარეთა რუკის შედგენა





2.¹
Q

ელექტრომონყობილობების მწარმოებელი—მაგალითი 6: ზემოქმედებისა და ინტერესების მატრიცა ღირებულების შექმნის მთელ ჯაჭვში

ც) არსებითობის ანალიზი: ზემოქმედების, შესაძლებლობებისა და რისკების შეფასება

რა

კომპანიები სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ქვეშ ექცევიან. ისინი დამოკიდებულნი არიან ბუნებრივ რესურსებსა და ეკოსისტემურ სერვისებზე, ასევე ექვემდებარებიან სოციალური ფაქტორების გავლენას. დამოკიდებულების ფაქტორების, რომლებიც წინა ეტაპებზე იქნა გამოვლენილი, იწვევს გარკვეულ ზემოქმედებას, აჩენს შესაძლებლობებსა და ავლენს რისკებს.

ზემოქმედება გულისხმობს იმ დადებით და უარყოფით გავლენებს, რომლებიც კომპანიას აქვს საზოგადოებასა და გარემოზე ანალიზის მომენტში. შესაძლებლობები და რისკები კი ამ დამოკიდებულებების საფუძვლიანი შეფასების შედეგად ხდება ხილული. თქვენ უკვე გამოიკვლიეთ ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული გარე და შიდა ფაქტორები კორპორაციული გარემოს ანალიზისას, ხოლო ღირებულებათა ჯაჭვის შეფასებამ ეს სურათი კიდევ უფრო შეავსო. ახლა უკვე შეგიძლიათ დეტალურად გააანალიზოთ და შეაფასოთ ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედებები, შესაძლებლობები და რისკები.

რატომ

ღირებულების შექმნის მთელ ჯაჭვში დამოკიდებულებების ანალიზი ზემოქმედების, შესაძლებლობებისა და რისკების გათვალისწინებით, კომპანიებს საშუალებას აძლევს მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები და კონცენტრირდნენ გავლენის ძირითად სფეროებზე.

არსებითობის ანალიზი ხელს უწყობს პრობლემური სფეროების იდენტიფიცირებას, პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფით, სადაც არსებული ბიზნეს მოდელის ზემოქმედება ბუნებასა და საზოგადოებაზე ყველაზე მნიშვნელოვანია.

მდგრადი განვითარებისა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავებით ამ ძირითად ამოცანებზე დაყრდნობით, თქვენი კომპანია შეძლებს დაიშვიდროს თავი დაინტერესებული მხარეების თვალში, როგორც სანდო მოთამაშემ და პარტნიორმა.

ნაბიჯები, რომლებიც აღწერილია ქვეპუნქტში "როგორ" შემდეგ მიზნებს ემსახურება:

- ▶ ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციური და ფაქტობრივი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების იდენტიფიცირება და დასახელება. CSRD-ის არსებითობის ანალიზისთვის, საჭიროა ამ ზემოქმედებების უფრო სიღრმისეულ განხილვა.
- ▶ პოტენციური ფინანსური შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შეფასება.
- ▶ CSRD-ის მნიშვნელოვნების შეფასების ხელშეწყობა თქვენი ხარისხობრივი მონაცემებისა და რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე, მაგალითად, მასშტაბის, მოცულობის, შეუქცევადობისა და მოვლენის ალბათობის შეფასების გზით.

თუ თქვენს კომპანიას CSRD-ის შესაბამისად ანგარიშგება მოეთხოვება, გამოიყენეთ ანალიზის შედეგები და გააერთიანეთ ისინი ორმაგი არსებითობის ანალიზისთვის. იდეალურ შემთხვევაში, თქვენ არ დაგჭირდებათ დამატებითი ანალიტიკური ნაბიჯების განხორციელება, გარდა უკვე აღწერილისა.

როგორ

თქვენი ბიზნესი საქმიანობის გააზრებული შეფასების ჩასატარებლად, საჭიროა შეაგროვოთ როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემები. გირჩევთ, შეფასებისადმი პრაგმატული მიდგომა გამოიჩინოთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ყველა მონაცემი ხელმისაწვდომი არ არის. დაიწყეთ შეფასების პროცესი ხელთარსებული მონაცემებით და გააფართოვეთ ის ეტაპობრივად. მაგალითად, შეგიძლიათ დაიწყოთ ძირითადი "ცხელი წერტილების" შეფასებით. ინდუსტრიის, თქვენი კომპანიის და, საბოლოოდ, მასალებისა და პროდუქტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვების შედეგად, „ცხელი წერტილების“ ანალიზი უფრო კონკრეტული გახდება. იდეალურ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, თქვენ უნდა შექმნათ ყველა მატერიალური და პროდუქტის ნაკადის ყოვლისმომცველი ჩამონათვალი და თვალი მიადევნოთ ღირებულებათა ჯაჭვში მათ ზემოქმედებებსა და დამოკიდებულებებს.

პირობები:

1. განსაზღვრეთ თქვენი საკუთარი მონაცემთა ბაზა, შეფასების მოცულობა და მიზნები

ცირკულარობასთან დაკავშირებული მონაცემები შეიძლება მოპოვებული იყოს მრავალი ინდიკატორიდან, მათ შორის (ნედლი) მასალისა და პროდუქტის მონაცემებიდან, როგორიცაა ყველა ის მასალა და პროდუქტი, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ბიზნეს საქმიანობაში.

- ▶ პროდუქტში კრიტიკული ნედლეულის წილის რაოდენობრივი განსაზღვრა და აღრიცხვა, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა რეგიონალური ხელმისაწვდომობა, გეოპოლიტიკური გამონეგებები და მარეგულირებელი ჩარჩოები (მაგ., ევროკავშირის კრიტიკული ნედლეულის შესახებ კანონი).
- ▶ რესურსების ნაკადების, მასალების დანაკარგების და თქვენი საკუთარი წარმოების პროცესების მიღმა არსებული სპეციფიკური მონაცემების თვალყურის დევნება.

იმის დასადგენად, თუ რა მონაცემებია უკვე ხელმისაწვდომი თქვენს კომპანიაში, საჭიროა შიდა მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება, როგორიცაა ფინანსური ჩანაწერები, გარემოსდაცვითი მონაცემები, შესყიდვების მონაცემები და სხვა.

შეფასების მოცულობა და მიზანი შეიძლება გამომდინარეობდეს იმ მიზნიდან, რისი მიღწევაც ანალიზით გსურთ. მაგალითად:

- ▶ უნდა განვიხილოთ თუ არა მარეგულირებელი მოთხოვნები, მათ შორის ანგარიშგების ვალდებულებისთვის საჭირო სიღრმისეული მონაცემები? ამ შემთხვევაში, ანალიზის ზოგიერთი პარამეტრი შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული.
- ▶ წარმოადგენს თუ არა ნარჩენების მინიმიზაცია მთავარი მიზანი? თუ მიზანია სხვადასხვა ეტაპზე ნარჩენებად ქცეული მასალების კონკრეტული ზემოქმედების შეფასება (მაგ., სათბურის გაზების გამოყოფა მასალის ღირებულების ჯაჭვის გასწვრივ)?

თქვენი ანალიზის მიზნიდან გამომდინარე, შემდეგ ეტაპზე შეგიძლიათ გააგრძელოთ შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა.

2. შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა და შესაბამისი მონაცემების შემდგომი შეგროვება.

ანალიზისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა მიდგომა, მათ შორის:

- ▶ შიდა სემინარები
- ▶ შიდა ექსპერტების მიერ ჩატარებული ხარისხობრივი შეფასებები
- ▶ უფრო დეტალური შეფასებები, როგორიცაა მასალის ნაკადის ანალიზი, სასიცოცხლო ციკლის შეფასება (LCA) და რისკის შეფასება (მაგალითად, WWF Risk Filter Suites)
- ▶ მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ქსელის (Science Based Targets Network) მიზნების დასახვის სახელმძღვანელო პრინციპები

კომპანიის შიდა სემინარები მარტივი ამოსავალი წერტილია, განსაკუთრებით თუ ტრანსფორმაციის გზის დასაწყისში ხართ. ეს საშუალებას გაძლევთ მარტივად გამოიყენოთ არსებული შიდა ცოდნა. იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც გავლენის ანალიზში შეზღუდული გამოცდილება აქვთ, შესაძლოა, მომგებიანი იყოს გარე ექსპერტული ცოდნის გამოყენება, შესაბამისი ინსტრუმენტის შერჩევის ან მიზნობრივი თანამშრომლობის გზით. მას შემდეგ, რაც აირჩევთ მიდგომასა და ინსტრუმენტს, შეძლებთ განსაზღვროთ, საჭიროა თუ არა დამატებითი მაჩვენებლების ან მონაცემების შეგროვება, თუ პირველ ეტაპზე შეგროვებული მონაცემები უკვე საკმარისია ანალიზისთვის.

მიდგომის არჩევისას, მიზნად უნდა დაისახოთ გაუმჯობესების ეფექტური ზომების განსაზღვრა და ზემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტების დადგენა.

სოციალურ-ეკოლოგიური ინდიკატორების ანალიზი ცენტრალურ ადგილს იკავებს ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შექმნაში. ეს ინდიკატორები შეიძლება იქნას მიღებული არსებული ლიტერატურიდან ან წყაროებიდან, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, წყალს, ბიომრავალფეროვნებას და კლიმატს. ძირითადი სოციალურ-ეკოლოგიური ინდიკატორებია:

- ▶ სათბურის გაზების ემისიები
- ▶ ემისიები
- ▶ მიწის გამოყენება ნედლეულის მოპოვებისთვის
- ▶ გამოყენებული მასალების ტოქსიკურობა

- ▶ ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, ასევე ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებების გამოყოფის შედეგად
- ▶ სამუშაო პირობები

ანალოგიურად, კომპანიის მიერ ჩასატარებელი შეფასებისთვის, უნდა განისაზღვროს ფინანსური ინდიკატორები, მათ შორის მონაცემები მიწოდების ჯაჭვის რისკების, ასევე მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნისა და მიწოდების პერსპექტივების შესახებ.

შესაბამისი ფინანსური ინდიკატორები მოიცავს შემდეგს:

- ▶ მიმდინარე ან მომავალი რესურსების დეფიციტი, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს მათი ხელმისაწვდომობა და გამოიწვიოს ხარჯების ზრდა.
- ▶ ინდუსტრიის განვითარება (მაგალითად, ინოვაციები მასალების სფეროში), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტულ მასალაზე ან პროდუქტზე მომავალ მოთხოვნაზე.
- ▶ მიმდინარე ან სამომავლო რესურსების სიმცირე, რამაც შეიძლება შეზღუდოს ხელმისაწვდომობა და გაზარდოს ხარჯები.
- ▶ ინდუსტრიის განვითარება (მაგალითად, ინოვაციები მასალების სფეროში), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტულ მასალაზე ან პროდუქტზე მოთხოვნაზე მომავალში.

3. ზემოქმედების, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირება და შეფასება შერჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით


დასკვნით ეტაპზე, უფრო დაწვრილებით დააკვირდით არჩეული მიდგომით მიღებულ მონაცემებს. მიზანია, გამოავლინოთ ძირითადი გავლენის სფეროები და ასახოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტები. ეს გავლენები შეიძლება იყოს მასალასთან ან პროდუქტთან დაკავშირებული ეფექტები ღირებულების ჯაჭვის გასწვრივ, ან კომპანიის სანარმოო ობიექტების, მომწოდებლებისა თუ ნედლეულის წყაროების ადგილმდებარეობის სპეციფიკური პირობები.


გადახედეთ იდენტიფიცირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების სიას და დაახარისხეთ ისინი სიმწვავისა და ზემოქმედების დონის მიხედვით. ამისთვის, საჭიროა განსაზღვროთ მათი ფარგლები, მასშტაბი და შეუქცევადობა დაბალიდან მაღალ ზემოქმედების დიაპაზონში. უარყოფითი ზემოქმედების შეფასებისას გამოიყენება ტერმინი „სიმწვავე“ ან „ზემოქმედების სიმძიმე“.

დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს: მასალასაც კი, რომელსაც სხვებთან შედარებით შედარებით დაბალი ზემოქმედება აქვს გარემოზე, შეიძლება ჰქონდეს მაღალი დონის საერთო ეფექტი გამოყენებული აბსოლუტური რაოდენობის გამო. გარდა ამისა, თქვენ უნდა შეაფასოთ პოტენციური ზემოქმედების მოხდენის ალბათობა. ზემოქმედება შეიძლება იყოს როგორც დადებითი (შესაძლებლობები), ასევე უარყოფითი (რისკები).

ამ შეფასების საფუძველზე, უნდა დაადგინოთ ძირითადი თემების პრიორიტეტულობა, რათა განსაზღვროთ, რომელი საკითხი საჭიროებს სწრაფ მოქმედებას ყველაზე მეტად. რისკისა და შესაძლებლობების მატრიცა, რომელიც აფასებს ზემოქმედებასა და დამოკიდებულებებს (იხ. სურათი 9), შეიძლება იყოს სასარგებლო ინსტრუმენტი ამ პროცესისთვის. ყველა ზემოქმედება, რომელიც აღემატება კრიტიკული სიმძიმის ზღვრებს, უნდა ჩაითვალოს თქვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვან საკითხად.

გამოიყენეთ თქვენი კორპორაციული გარემოს ანალიზის შედეგები (მაგ., თქვენი კომპანიის პოტენციური გავლენა), ასევე ღირებულებათა ჯაჭვისა და დაინტერესებული მხარეების რუკების ანალიზიდან მიღებული ინფორმაცია. თქვენს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ღირებული წვლილის შეტანა ზეგავლენების სიის შეფასებაში, მათი წარმოშობის ალბათობის დადგენასა და ზემოქმედების მასშტაბის შეფასებაში. მატერიალურობის საერთო ანალიზში მიკერძოების რისკის თავიდან ასაცილებლად, გაითვალისწინეთ, აქვთ თუ არა შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი ზეგავლენების სიღრმისეული ექსპერტიზა, თუ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისინი ზოგად შეხედულებას შეიტანენ. ასევე გაითვალისწინეთ დაინტერესებული მხარეების ნებისმიერი პირადი ინტერესი. საერთო არსებითობის ანალიზში მიკერძოების რისკის თავიდან ასაცილებლად, გაითვალისწინეთ, აქვთ თუ არა შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი გავლენებზე სიღრმისეული ექსპერტიზა, თუ მათ უფრო ზოგადი ხედვის შემოტანა შეუძლიათ. ასევე, გაითვალისწინეთ დაინტერესებულ მხარეთა ნებისმიერი პირადი ინტერესი.





ელექტრომონოციბილობების მწარმოებელი—მაგალითი 7: ეკოლოგიური და სოციალური ცხელი წერტილების შეფასება

კიდევ ერთი შესაძლებლობაა დასკვნების ვიზუალიზაცია ცხრილის სახით, რათა ნათლად გამოკვეთოთ (უარყოფითი) ცხელი წერტილები (იხ. მაგალითი 7). მნიშვნელოვანი ზემოქმედება მიუთითებს მოქმედების მაღალ საჭიროებაზე, რაც გადამწყვეტია თქვენი მიზნებისა და ცირკულარული სტრატეგიის განსაზღვრისა და მიღწევისთვის

D) სტატუს კვოს ანალიზის შედეგად მიღებული მოქმედების პრიორიტეტული სფეროები

სტატუს კვოს ანალიზის ეტაპები წარმოშობს შესაძლებლობებს, რისკებსა და გარე მოთხოვნებს, რომლებიც ავლენს სამეწარმეო ქმედების საჭიროებას სხვადასხვა ხარისხის გადაუდებლობით. ეს საშუალებას გაძლევთ დაადგინოთ ცოდნაზე დაფუძნებული პრიორიტეტები და დროულად ამოიცნოთ პოტენციური წინააღმდეგობრივი მიზნები (კომპრომისები სხვადასხვა დონეზე).

- ▶ კორპორაციული გარემოს ანალიზი საშუალებას გაძლევთ გამოავლინოთ კონკრეტული გამოწვევები და შესაძლებლობები თქვენს ბიზნეს გარემოში. ანალიზი გეხმარებათ შეაფასოთ თქვენი კომპანიის ზემოქმედება და გააცნობიეროთ გარე ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება პირდაპირი და ირიბი გავლენა მოახდინონ თქვენზე. ანალიზი ხელს უწყობს ახალი ბიზნეს შესაძლებლობების ადრეულ იდენტიფიცირებას და ამავდროულად აძლიერებს თქვენი კომპანიის მდგრადობას.
- ▶ ღირებულებათა ჯაჭვების ანალიზით, თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი პოზიცია ღირებულებათა ჯაჭვში და დაადგინოთ მოქმედების პოტენციური ბერკეტები. ეს საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ ინფორმაცია რესურსების ნაკადების შესახებ და შეისწავლოთ მიდგომები მატერიალური ეფექტურობის გაზრდისა და ხარჯების შემცირებისთვის (მაგ., R სტრატეგიების მეშვეობით). დაინტერესებული მხარეების რუკების გამოყენებით, თქვენ შეძლებთ უკეთ გაიგოთ თქვენი (ცირკულარული) ეკოსისტემა და ის, თუ როგორ ურთიერთქმედებს თქვენი კომპანია მასში. გარდა ამისა, შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელი დაინტერესებული მხარეების ჯგუფები უნდა იყვნენ ჩართულნი თქვენს შემდეგ ნაბიჯებში, მათი პირდაპირი ზემოქმედების ან გადანყვეტილებებზე ვეტოს დადების შესაძლებლობის გამო.
- ▶ არსებითობის ანალიზი ხელს უწყობს ღირებულებათა ჯაჭვში ცხელი წერტილებისა და სხვა სამოქმედო სფეროების იდენტიფიცირებას. ის ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს ზემოქმედების ყველაზე კრიტიკულ საკითხებზე ფოკუსირებას.

სტატუს კვოს ანალიზის შეფასებით, მიღებული ცოდნისა და მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით, თქვენ შეგიძლიათ სტრატეგიულად განსაზღვროთ სამომავლო პრიორიტეტული ბიზნეს ქმედებები. სამოქმედო პრიორიტეტული სფეროები - ანუ თემები, სადაც თქვენს კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედების პოტენციალი - ქმნის საფუძველს ცირკულარულ ბიზნესზე გადასვლისთვის. ეს თემები უზრუნველყოფენ აუცილებელ ფოკუსირებას და წარმოადგენენ ძირითად საფუძვლებს თქვენი გავლენაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის განსაზღვრისა და შესაბამისობაში მოყვანისთვის.



კორპორაციული გარემოს ანალიზი: ახალი ბიზნეს შესაძლებლობების საფუძველი

გავლენის ძირითადი გარე ფაქტორებია ნორმატიული რეგულაციები, ნედლეულის ფასების ზრდა და საზოგადოების ზეწოლა პროდუქციის მწარმოებლებზე. ტექნოლოგიური ინოვაციები ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ხოლო ეკოლოგიური და სამართლებრივი მოთხოვნები აძლიერებს ზომების მიღების აუცილებლობას.

ღირებულებათა ჯაჭვი და დაინტერესებული მხარეების რუკა

კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს თავისი პროცესებისა და პროდუქტების მდგრადობაზე. მდგრადი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მასალების მეშვეობით, მას აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ცირკულარულ ეკონომიკას მთელი ღირებულების ჯაჭვის გასწვრივ და მინიმუმამდე დაიყვანოს მისი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. გარდა ამისა, ნედლეულის შესყიდვა იძლევა ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ეკოლოგიური ცხელი წერტილების ანალიზი

ნედლეულის მოპოვება იწვევს ძლიერ ზემოქმედებას გარემოზე, ხოლო ენერგოტექვადი წარმოება და გადამამუშავება დამატებით გამოწვევებს ქმნის. ტრანსპორტირება და პროდუქტის გამოყენება ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სათბურის აირების ემისიებს. გარდა ამისა, ნედლეულის მოპოვების რისკები მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევას, ბავშვთა შრომას და ასევე ცუდ სამუშაო პირობებს მომწოდებლებს შორის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები

1

ნედლეულის შესყიდვა

2

მასალის მოხმარება

3

სიცოცხლის ციკლის დასასრული

ელექტრომონოპოლიზაციის გამოგონილი მწარმოებელი—მაგალითი 8:
პრიორიტეტული სამოქმედო სფეროების დადგენა

2.2 სტრატეგიული შესაბამისობა და მიზნები

ზემოქმედებაზე ორიენტირებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგია ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს თითოეული კომპანიისთვის. მთავარია, შეიქმნას შიდა ჩარჩო, რომელიც მორგებულია თქვენს ორგანიზაციაზე. ამის მისაღწევად, სასარგებლოა გააცნობიეროთ შემდეგი:

- ცირკულარული ეკონომიკის ხედვა ასახავს პოზიტიურ მომავალ სცენარს და თქვენთვის და თქვენი კომპანიისთვის შთამაგონებელ საფუძველს წარმოადგენს.
- თქვენი ინდივიდუალური მისია გამომდინარეობს ხედვიდან (და სტატუს კვოს ანალიზის დასკვნებიდან). ის გთავაზობთ საწყის პერსპექტივას იმის შესახებ, თუ როგორ ხედავთ თქვენი კომპანიის კონკრეტულ როლს.
- ცირკულარული ეკონომიკის სპეციფიკური მიდგომები გამოიყენება იმისთვის, რომ მისია გადაიქცეს ქმედიტუნარიან შესაძლებლობად.
- განსაზღვრულ პრიორიტეტულ სამოქმედო სფეროებთან ერთად, შესაძლებელია წრიულობის კონკრეტული მიზნების დადგენა, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მათ ზემოქმედებაზე.

2.²



სურათი 10: ცირკულარული ეკონომიკის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება

ცირკულარული ეკონომიკის საბოლოო სტრატეგიის ჩამოყალიბებამდე, გირჩევთ, ჩაატაროთ სტატუს კვოს ყოვლისმომცველი ანალიზი, რაც გაგიადვილებთ გამოვლენილი შესაძლებლობებისა და რისკების, ასევე სამოქმედო პრიორიტეტული სფეროების შეფასებასა და განხილვას, თუმცა, ასევე შესაძლებელია თავდაპირველად განსაზღვროთ თქვენი კომპანიის ხედვა და მისია ცირკულარიზაციისთვის და შემდგომში მოახდინოთ მათი შესაბამისობა გარე ჩარჩო პირობებთან (მაგ., ისეთი ინსტრუმენტების მეშვეობით, როგორიცაა გარემო, ღირებულებათა ჯაჭვი ან არსებითობის ანალიზი) და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოთ მათი კორექტირება.

A) ხედვა და მისია: ნორმატიული საფუძვლები ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისთვის

რა

ცირკულარული ეკონომიკის ხედვა აღწერს იდეალურ გრძელვადიან მიზანს თქვენი კომპანიისთვის ცირკულარობისა და მდგრადობის სფეროებში. ავთენტური ხედვა ასახავს კომპანიის ღირებულებებს და მისი ბიზნეს საქმიანობის ძირითად მიზანს. ის წარმოადგენს ორიენტირს და უზრუნველყოფს სტრატეგიისა და მიზნების დასახვის გრძელვადიან საფუძველს.

მისია უფრო კონკრეტულია და ასახავს თქვენი კომპანიის განსაკუთრებულ როლს და ხედვიდან მომდინარე მანდატს. ის წარმოადგენს გადაწყვეტაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს ხედვის მიღწევას. მისია აღწერს თქვენი კომპანიის როლს ცირკულარულ ეკონომიკაში და დაინტერესებული მხარეებისთვის მის მიერ შექმნილ დამატებით ღირებულებას.

რატომ

მკაფიო ხედვა და მისია წარმოადგენს საფუძველს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაციული განვითარების ყველა კომპონენტი ეფექტურად იყოს თანხვედრაში, გამოყენებულ იქნას სინერგიები, ხოლო ტრანსფორმაციის პროცესი მორგებული იყოს თქვენი კომპანიის საჭიროებებზე. ამბიციური, მაგრამ რეალისტური ხედვა შთააგონებს და მოტივაციას უქმნის თანამშრომლებსა და მომხმარებლებს, ხოლო მისია უზრუნველყოფს მკაფიო მიმართულებას თქვენი კომპანიისთვის .

თქვენი მისია ხელს უწყობს ცირკულარულ ეკონომიკაში კომპანიის როლის განსაზღვრას. მაგალითად, თუ თქვენ აპირებთ გახდეთ პიონერობი, ყოვლისმომცველი ინიციატივის მეშვეობით შეგიძლიათ მიზნად დაისახოთ ლიდერობა ცირკულარობაში .

როგორ

სტატუს კვოს ანალიზის საფუძველზე (თავი 2.1 სტატუს კვოს შეფასება), შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს ცირკულარული ეკონომიკა თქვენი კომპანიისა და ინდუსტრიისთვის და ჩამოაყალიბოთ ამბიციური ხედვა და მოქმედებაზე ორიენტირებული მისია.

იდეალურ შემთხვევაში, ეს პროცესი ძირითად შიდა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გრძელვადიანი ტრანსფორმაცია, რომელიც შიგნიდან იქნება წარმართული და მხარდაჭერილი.

პირობები:

1. შედეგები საკითხები დაგეხმარებათ ხედვის ჩამოყალიბებაში:

- ▶ რატომ არის ეკონომიკა პლანეტარული საზღვრების ფარგლებში სასურველი თქვენი კომპანიისთვის?
- ▶ როგორ გამოიყურება ცირკულარული ბიზნესი პლანეტარული საზღვრების ფარგლებში თქვენთვის?
- ▶ რა ცვლილებების განხორციელება გსურთ თქვენს ინდუსტრიაში? როგორ გამოიყურება იდეალური სექტორული ცირკულარული ეკონომიკა?
- ▶ როგორ გამოიყურება იდეალური სექტორული ცირკულარული ეკონომიკა?

2. შედეგად მიღებული ხედვა განსაზღვრავს თქვენს მისიას.

შედეგები საკვანძო კითხვები დაგეხმარებათ მისიის განსაზღვრაში:

- ▶ რა არის თქვენი როლი იმ ღირებულებათა ჯაჭვში ან ღირებულებათა ციკლში, რომელშიც თქვენი კომპანია ოპერირებს?
- ▶ როგორ შეგიძლიათ პროაქტიულად შეუწყოთ ხელი ცირკულარულ ეკონომიკას ამ როლის ფარგლებში?
- ▶ კონკრეტულად რა პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად თქვენი კომპანია? როგორ იყენებთ ცირკულარული ეკონომიკის მიდგომებს ამ მიზნით?
- ▶ რა სარგებელს მოუტანს ცირკულარობაზე გადასვლა თქვენს კომპანიას? თქვენი როლის ფარგლებში, როგორ შეძლებთ აუცილებელი და ინოვაციური გადაწყვეტილებების უზრუნველყოფას, რომლებიც გააძლიერებს თქვენს საბაზრო პოზიციას?
- ▶ რა ღირებულებას ქმნით თქვენი მომხმარებლებისთვის და ზოგადად, საზოგადოებისთვის? მაგალითად: როგორ შეუძლია მატერიალური ღირებულების გრძელვადიანმა შენარჩუნებამ, უზრუნველყოს თქვენი პროდუქციის პრაქტიკული ღირებულება?



ხედვა

ჩვენი ხედვა არის ცირკულარული ეკონომიკური სისტემა, რომელიც არა მხოლოდ ეკოლოგიურად მდგრადია, არამედ დადებით წვლილსაც შეიტანს საზოგადოებაში. ელექტრონიკის ინდუსტრიის მომავალი განპირობებული იქნება ცირკულარული ინოვაციებითა და მდგრადი პრაქტიკებით, რომლებიც პლანეტარული საზღვრების ფარგლებში ფუნქციონირებს.

ჩვენ გვინდა წვლილი შევიტანოთ მომავალი თაობებისთვის ჯანსაღი პლანეტის შენარჩუნებაში.

მისია

ჩვენი მისიაა, შევემნათ **გრძელვადიანი პროდუქტები, რომელიც ექვემდებარება შეკეთებას და გადამუშავებას.**

ჩვენ გვსურს, მომხმარებლებს მივცეთ საშუალება, აირჩიონ და გამოიყენონ ელექტრო ტექნიკა მინიმალური რესურსების მოხმარებით და ამავედროულად უზრუნველყოთ, რომ ეს პროდუქტები ნულოვან ნარჩენებს წარმოქმნიდეს მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მომავალში, ჩვენი **ნედლეული** მხოლოდ **პასუხისმგებლიანი წყაროებიდან** იქნება მოწოდებული ან მიღებული იქნება **ჩაკეტილი** ციკლის გადამუშავების გზით.

ჩვენი წარმოება დაფუძნებულია განახლებადი ენერგიის წყაროებზე, რაც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შერბილებას და ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვას.

ელექტრომონოწობილობების გამოგონილი მწარმოებელი—მაგალითი 9:
ცირკულარული ხედვა და მისია

პრაქტიკული მაგალითი:

IKEA: ცირკულარობის ინტეგრირება კორპორაციულ მისიაში

კომპანიის როლი: ავეჯისა და სახლის აქსესუარების მწარმოებელი და საცალო ვაჭრობის კომპანია (ფრენჩაიზის მოდელი) მიწოდების ინტეგრირებული ჯაჭვით. გარემოსა და საზოგადოებაზე დადებითი ზემოქმედების მოხდენის ხედვიდან გამომდინარე, IKEA-მ 2018 წელს დაისახა მისია „ცირკულარული ბიზნესი 2030 წლისთვის“. ამრიგად, ცირკულარობა, როგორც ერთ-ერთი სამი ძირითადი კომპონენტიდან, ინტეგრირებულ იქნა IKEA-ს მდგრადი განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ფოკუსირებულია:

1. ცირკულარული **დიზაინის კრიტერიუმები** (მაგ., მარტივად დაშლადი, გამძლე, მსუბუქი მასალები).
2. **100%-ით განახლებადი და გადამუშავებადი მასალები** (მათ შორის, მდგრადი მასალების მოპოვება).
3. ცირკულარული **ეკოსისტემის** შექმნა, რომელშიც აქტიურად ჩათვებიან პარტნიორები და მომხმარებლები.

ამ მისიის საფუძველზე:

- ▶ IKEA-მ აიღო ვალდებულება, 2030 წლისთვის თავისი ხისბურბუშელოვანი ფილის (chipboard) მინიმუმ 80% აწარმოოს გადამუშავებული ხისგან, რითაც გაზრდის გადამუშავებული ხის წილს თავის პროდუქტებში (2023 წლის მონაცემებით: IKEA-ს ხისბურბუშელოვან ფილაში გადამუშავებული ხის წილი 30%-ს შეადგენს).
- ▶ IKEA-ს სურს, 2030 წლისთვის შეწყვიტოს ნარჩენების ნაგავსაყრელებზე გატანა. ამ მიზნით, თითოეული ქარხანა თავად ადგენს პრიორიტეტებს და შეიმუშავებს გზამკვლევს ნარჩენების მინიმზაციის, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების ან განთავსებისთვის.
- ▶ IKEA ცალკეულ ბაზრებზე (ნიდერლანდები, შვედეთი და შვეიცარია; 2024 წლის ივნისის მონაცემებით) ტესტავს გამოსყიდვისა და გადაყიდვის, ასევე შეძენის ნაცვლად პროდუქტის იჯარით აღების მოდელებს.

„ცირკულარული ბიზნესი 2030 წლისთვის“ მისიის მისაღწევად IKEA, სხვა ასევე თანამშრომლობს ელენ მაკარტურის ფონდთან.

ტექსტური ჩანართი 5: პრაქტიკული მაგალითი—IKEA: ცირკულარობის ინტეგრირება კორპორაციულ მისიაში

პრაქტიკული მაგალითი:

Philips: ცირკულარობის ინტეგრირება კორპორაციულ მისიაში

კომპანიის როლი: ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და სერვისების მწარმოებელი და მიმწოდებელი გლობალური მასშტაბით.

თავისი კორპორატიული მისიის „მდგრადი ჯანდაცვის ტექნოლოგიები 2025 წლისთვის“ ფარგლებში, Philips-ი მიზნად ისახავს წამყვანი როლი დაიკავოს წრიულ ჯანდაცვის ეკონომიკაში. მისია ფოკუსირებულია:

- ▶ ცირკულარული დიზაინი: ეკო-დიზაინის პრინციპების გამოყენება ყველა ახალ პროდუქტზე.
- ▶ რესურსების ეფექტურობა: „ნაკლები გამოყენების, უფრო დიდხანს გამოყენების, თავიდან გამოყენების“ ხელშეწყობა.
- ▶ ინოვაციური ბიზნეს მოდელები: ახალი სერვისების შეთავაზებებისა და გამოყენების შემდგომი მართვის შემუშავება.

2024 წელს, Philips-მა ცირკულარობა განსაზღვრა, როგორც თავისი კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის ძირითადი საყრდენი და განაცხადა, რომ 2023 წელს მისი შემოსავლის 20% მოდიოდა იმ პროდუქტებსა და სერვისებზე, რომლებიც კომპლექსურ ცირკულარულ ეკონომიკას უწყობდნენ ხელს. Philips-ს სურს, რომ 2025 წლისთვის ეს წილი 25%-მდე გაზარდოს.

ტექსტური ჩანართი 6: პრაქტიკული მაგალითი—Philips: ცირკულარობის ინტეგრირება კორპორაციულ მისიაში

B) ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული მიდგომები: მოქმედების ვარიანტების შემუშავება და შეფასება

რა

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული მიდგომები წარმოადგენს მოქმედების ყოვლისმომცველ შესაძლებლობებს, რომლებსაც კომპანია იყენებს თავის ოპერაციებში ცირკულარობის დასამყარებლად. ამ მიდგომების შერჩევა ეფუძნება სტატუს კვოს ანალიზის შედეგებს და მისგან გამომდინარე მოქმედების პრიორიტეტულ სფეროებს. ცირკულარული ეკონომიკის მიდგომები ყოველთვის მიმართულია კორპორაციული ქმედებების პოტენციური ზემოქმედების მაქსიმიზაციისკენ. ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული მიდგომების შემუშავება მოიცავს ბიზნეს მოდელების იდენტიფიცირებას და მათი პოტენციალის შეფასებას კომპანიისთვის.

რატომ

ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული მიდგომები წარმოადგენენ პირველ ნაბიჯს ხედვისა და მისიის განსაზღვრის შემდეგ. მიზანია თქვენს კომპანიაზე მორგებული ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება. მოქმედების პრიორიტეტული სფეროების სხვადასხვა მიდგომების შესწავლითა და კრიტიკული განხილვით, თქვენ უფრო დეტალურად გაერკვევით შიდა და გარე ურთიერთობებში. ამ პროცესით მიღებული ცოდნა საფუძვლად დაედება კორპორაციული მიზნების დასახვას, რომლებიც შემდეგ შეიძლება გარდაიქმნას კონკრეტულ ღონისძიებებად საგზაო რუკაში.

როგორ

თქვენ განსაზღვრეთ თქვენი მოქმედების პრიორიტეტული სფეროები, ჩამოაყალიბეთ თქვენი ხედვა და შეიმუშავეთ მოქმედებაზე ორიენტირებული მისია. ახლა დროა, ეს ყველაფერი რეალობად აქციოთ. შემდეგი ნაბიჯი არის კონკრეტული მოქმედების ვარიანტების შემუშავება, რომლებსაც მოგვიანებით შეაფასებთ (იხ. თავი 2.1 დ).

პირობები:


1. მოქმედების ვარიანტების შემუშავება

პირველი ნაბიჯი მოიცავს ცირკულარული ეკონომიკის სხვადასხვა მიდგომის შემუშავებას, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ თქვენი კორპორაციული მისიის მიღწევაში და თქვენი პრიორიტეტული სამოქმედო სფეროების გაუმჯობესებაში.

ამ მიზნის მისაღწევად მრავალი გზა არსებობს. მოქმედების ვარიანტები შეიძლება განისაზღვროს თქვენი კომპანიის როლის გადაფასებით ცირკულარული ღირებულების ციკლში, თქვენს კორპორაციულ პროცესებში ცირკულარული R სტრატეგიების გამოყენებით, და/ან პროდუქტების ან სერვისების ისეთი დაპროექტება, რომელიც შეესაბამება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს. თითოეული გზა გვთავაზობს კონკრეტულ პერსპექტივას, თუმცა მოქმედების ვარიანტები სშირად გადაფარავენ ერთმანეთს (სურათი 11).

რადგან ცირკულარულ ბიზნესზე გადასვლის უნივერსალური მოდელი არ არსებობს, აუცილებელია მოსაზრებების ფართო სპექტრის შეგროვება - მაგალითად, სემინარის ჩატარებისას. წარმატების გასაღებს მრავალი მკაფიო კითხვა წარმოადგენს, რომელიც ყველა მონაწილეს საშუალებას მისცემს, ერთობლივად იმუშაონ საერთო მიზნის მისაღწევად. შესაძლო კითხვებია:

**რა გჭირდებათ თქვენი კორპორაციული მისიის შესასრულებლად?
როგორ შეიძლება გაუმჯობესების მიღწევა მოქმედების თქვენს პრიორიტეტული სფეროებში?**



სურათი 11: მოქმედების ვარიანტების შემუშავება

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი სემინარების ფორმატი აერთიანებდეს კომპანიის სხვადასხვა როლის და ფუნქციის მქონე პირებს, რათა მოხდეს არსებული პროცესების ერთობლივი განხილვა და ანალიზი. ჩვენ გირჩევთ, რომ ამ პროცესში ჩართული იყოს მენეჯმენტიც, რაც, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის აუცილებელ მანდატს, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს გრძელვადიანი სტრატეგიული მოსაზრებების გათვალისწინება და მათი შემდგომი განვითარება.

„გახადე ცირკულარული!“ – ცირკულარული ბიზნესის გემიფიცირებული შესავალი

თქვენი კომპანიისთვის ცირკულარული ეკონომიკის საწყისი მიდგომების შესამუშავებლად ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია გამოიყენოთ სიმულაციური თამაში, სახელწოდებით „გახადე ცირკულარული!“ (Make it circular!), რომელიც შექმნილია acatech-ისა და WWF გერმანიის მიერ. „გახადე ცირკულარული!“ გაძლევთ შესაძლებლობას, შეიმუშაოთ ცირკულარული ეკონომიკის მიდგომები და გაეცნოთ ცირკულარული ბიზნეს მოდელებს სახალისო, თამაშის ფორმით, ბარათებისა და დეტალური დამხმარე მასალის გამოყენებით. თამაში დაგეხმარებათ ამოიცნოთ ის სამოქმედო ვარიანტები, რომლებიც თქვენს ბიზნეს მოდელს უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს ცირკულარულ ეკონომიკას.

ტექსტური ჩანართი 7: „გახადე ცირკულარული!“ სტრატეგიული თამაში, როგორც შესავალი ცირკულარულ ეკონომიკაში.¹⁹

¹⁹ Acatech & WWF (2022), „Make it circular!“—A Gamified Introduction to Circular Business Models in a Corporate Setting

მნიშვნელოვანია გარე შესაძლებლობების გათვალისწინება, რათა შეიქმნას პერსპექტიული მიდგომების ფართო სპექტრი და სამოქმედო ვარიანტები.

კომპანიის ცირკულარული ეკონომიკის არსებული გამოცდილების დონის მიხედვით, შესაძლოა სასარგებლო იყოს გარე ექსპერტებთან ერთად სემინარის ჩატარება. ეს დაგეხმარებათ ხაზი გაუსვათ ტრანსფორმაციის ინოვაციურ პოტენციალს და დისკუსიაში შეიტანოთ ხელშემწყობი ფაქტორები, რათა თავიდანვე გადაიჭრას ძირითადი გამოწვევები.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში აღწერილი გამოგონილი კომპანიის მე-10 მაგალითი ასახავს, თუ როგორ შეიძლება R სტრატეგიებზე დაყრდნობით. ელექტრონიკის მწარმოებლისთვის ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენება. ეს მიდგომები შემუშავდა სტატუს კვოს ანალიზის ბოლოს იდენტიფიცირებული სამოქმედო პრიორიტეტული სფეროების გამოყენებით. (იხ. გვ. 52)



10 R სტრატეგია	ნედლეულის შესყიდვა ფოკუსირება შესყიდვაზე	მასალის მოხმარება ფოკუსირება კვლევაზე და განვითარებაზე (R&D)	სიცოცხლის ციკლის დასასრული ფოკუსირება კვლევაზე და განვითარებაზე და გაყიდვების შემდგომ მომსახურებაზე
უარის თქმა	მოერიდეთ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონებიდან ნედლეულის შეძენას.	პროდუქტის დიზაინში ეკოლოგიურად მავნე მასალების გამორიცხვა.	
გადააზრება	შესყიდვების სტრატეგიების ხელახალი შემუშავება მეორადი ნედლეულის გამოყენებისთვის შიდა და გარე სტიმულების შესაქმნელად.	შექმენით მრავალფუნქციური პროდუქტები, რათა გაიზარდოს მათი გამოყენების ინტენსივობა.	განსაზღვრეთ სერვისის სტრატეგია (მაგალითად, "პროდუქტი-როგორც-სერვისი"), რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტების უკან დაბრუნებას.
შემცირება	ნედლეულის აბსოლუტური მოხმარების შემცირება მეორადი მასალების შეძენით.	შეამცირეთ მასალის მოხმარება მსუბუქი წონისა და რესურს-ეფექტური დიზაინის მეშვეობით.	მინიმუმამდე დაიყვანეთ მასალის დანაკარგები უკან დაბრუნებისა და გადამუშავების პროცესების ოპტიმიზაციის მეშვეობით.



10 R სტრატეგია	ნედლეულის შესყიდვა ფოკუსირება შესყიდვაზე	მასალის მოხმარება ფოკუსირება კვლევასა და განვითარებაზე (R&D)	სიცოცხლის ციკლის დასასრული ფოკუსირება კვლევასა და განვითარებაზე და გაყიდვების შემდგომ მომსახურებაზე
ხელახლა გამოყენება	ხელი შეუწყვეთ მრავალჯერადი გამოყენებისა და გადამუშავებული კომპონენტების შეძენას	შექმენით მოდულური პროდუქტები სტანდარტიზებული კომპონენტებით, რომელთა დაშლაც მარტივად იქნება შესაძლებელი, რათა:	შეიმუშავეთ (სტანდარტიზებული) სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ძველი მონწყობილობების/კომპო- ნენტების განახლებასა და ხელახლა გამოყენებას უზრუნველყოფს.
შეკეთება	მოიძიეთ სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ეჭვმდებარება შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებას.	- უზრუნველყოთ გამოყენებული მონწყობილობების ხელახლა გამოყენება. - გაზარდოთ შეკეთების შესაძლებლობა.	შექმენით გაყიდვების შემდგომი სერვისი მარტივი შეკეთებისა და კომპონენტების ჩანაცვლებისთვის.
განახლება	შეიძინეთ მაღალი ხარისხის კომპონენტები პროდუქტების უახლესი სტანდარტებით განახლებისთვის.	- შეძლოთ ძველი მონწყობილობების განახლება - ხელი შეუწყოთ ფუნქციონალური ძველი კომპონენტების ახალ მონწყობილობებში ინტეგრაციას.	შესთავაზეთ მომხმარებლებს ძველი ან დეფექტური კომპონენტების გაცვლის შესაძლებლობა. განაახლეთ და გაყიდეთ შეგროვებული ძველი მონწყობილობები და კომპონენტები.
ხელახლა წარმოება	შეიძინეთ გადაყრილი პროდუქტის ნაწილები ახალ პროდუქტებში ინტეგრირების მიზნით.		
ახალი დანიშნულების შექმნა			შექმენით პლატფორმა არსებული მონწყობილობების კრეატიული ხელახალი გამოყენების იდეების შესაგროვებლად და ნაახალისეთ მომხმარებლები, რომ წარმოადგინონ საკუთარი კონცეფციები.
გადამუშავება	ნაახალისეთ ისეთი მასალების შეძენა, რომელთა გადამუშავებაც მარტივად და ეფექტურად შეიძლება.	პროდუქტები ისე დააპროექტეთ, რომ მათი ადვილად დაშლა თავდაპირველ ნედლეულად იყოს შესაძლებელი.	დაამყარეთ პარტნიორობა უკან ნალებისა და გადამუშავების კომპანიებთან, რათა შეიქმნას მომხმარებლისთვის მოსახერხებელი დაბრუნების პროგრამები და ხელი შეუწყოს მასალების აღდგენას.
ხელახლა გამოყენება			დაამყარეთ პარტნიორობა იმ კომპანიებთან, რომლებიც იყენებენ ენერგოეფექტურ ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიებს.

ელექტრომონწყობილობების მწარმოებელი—მაგალითი 10: 10 R სტრატეგიებზე დაფუძნებული მოქმედების ვარიანტები

2.2. შეფასება და ცირკულარული ეკონომიკის (CE) მიდგომების პრიორიტეზაცია

თქვენ ერთობლივად გაანალიზებთ არსებული პროცესები და თქვენი კომპანიისთვის გამოიტანთ მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი. ახლა, ცირკულარული ეკონომიკის ეს მიდგომები უნდა შეფასდეს და პრიორიტეტულად განისაზღვროს. ქვემოთ აღწერილია ორი შესაძლო ინსტრუმენტი, რომელიც დაგეხმარებათ ამ პროცესის ხელშეწყობაში.

შეფასების ინსტრუმენტი: შეფასების მატრიცა

შემდეგი სახელმძღვანელო კითხვები შეიძლება გამოყენებულ იქნას თითოეული მიდგომისა და შესაბამისი რეკომენდებული ქმედებების ყოვლისმომცველი შეფასების შესადგენად:

- ▶ რა პოტენციური გაუმჯობესებები შეიძლება გამოვლინდეს სამოქმედო პრიორიტეტულ სფეროებში და შესაბამის სოციალურ-ეკოლოგიურ კატეგორიებში?
- ▶ როგორ უკავშირდება მიდგომები თქვენი კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას? რა ცვლილებები იქნება საჭირო მიმდინარე ბიზნეს მოდელთან შედარებით?
- ▶ როგორ შეიძლება (გრძელვადიანი) მომგებიანობის უზრუნველყოფა?
- ▶ როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული ფინანსური ნაკადები ცირკულარული ეკონომიკის თითოეული მიდგომის განხორციელების შემდეგ (ბიზნეს ქეისი)?
- ▶ რა შედეგების მოლოდინი შეიძლება იყოს? რა რისკები შეიძლება წარმოიშვას?
- ▶ რომელ აქტორებსა და დაინტერესებულ მხარეებზე (შიდა და გარე) ახდენს გავლენას გამოვლენილი საკითხები?
- ▶ რა გარეგანი ცვლილებები (მაგ., მარეგულირებელი მოთხოვნები) უნდა იყოს გათვალისწინებული მიდგომისთვის?
- ▶ რა არის თითოეული მიდგომის მოკლევადიანი/გრძელვადიანი უპირატესობები, ისევე როგორც პოტენციური ნაკლოვანებები?

აღნიშნულ კითხვებზე სისტემატურად პასუხის გაცემით, თქვენ შეგიძლიათ შეიმუშაოთ სტრუქტურირებული შეფასების მატრიცა სხვადასხვა ვარიანტისთვის (იხ. მაგალითი 11).



პრიორიტეტული სამოქმედო სფერო	ციკლარული ეკონომიკისადმი მიდგომა	შეფასების კრიტერიუმები		
		გაუმჯობესების პოტენციალი პრიორიტეტულ სამოქმედო სფეროებში	გრძელვადიანი/ მოკლევადიანი უპირატესობები და ნაკლავანებები	აუცილებელი ცვლილებები კორპორაციული საქმიანობის კუთხით
ნედლეულის შესყიდვა	ვარიანტი 1: გადამუშავებული მასალების გამოყენება	საშუალო	გრძელვადიანი: გაუმჯობესებული ბრენდის იმიჯი და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა. მოკლევადიანი: შესაძლოა, უფრო მაღალი მატერიალური ხარჯები და მასალების ნაკლები ხელმისაწვდომობა.	- ახალი მასალების ნაკადები მოითხოვს მიწოდების ჯაჭვის ადაპტაციას. - საჭიროა ახალი მომწოდებლები და პარტნიორობა.
მასალების მოხმარება	ვარიანტი 2: გამძლეობისა და შეკეთებადობის დიზაინი	მაღალი	გრძელვადიანი: შემცირებული ხარჯები მასალების დაბალი მოხმარებისა და ნაკლები ნარჩენების გამო. მოკლევადიანი: უფრო მაღალი განვითარების ხარჯები.	- საჭიროა ცვლილებები დიზაინის პროცესში. - აუცილებელია გაინარდოს თანამშრომლობა მომწოდებლებთან / მომ ხმარებლებთან (B2B) და მომხმარებლებთან (B2C).
ექსპლუატაციის დასრულება	ვარიანტი 3: პროდუქტი, როგორც მომსახურების ბიზნეს მოდელი	საშუალო	გრძელვადიანი: მემოსავლების სტაბილური ნაკადები და რესურსების გაუმჯობესებული გამოყენება. მოკლევადიანი: გამონვევები ბიზნეს მოდელის გარდაქმნისა და ბაზრის გაურკვეველი მოლოდინები.	- გარანტიის რეგულაციების გაფართოება და ფინანსური ნახალისების შექმნა. - მარკეტინგში, IT-სა და ლოგისტიკაში ინვესტიციები აუცილებელია. - გადახდის ახალი სისტემების / ნაღდი ფულის ნაკადების შექმნის საჭიროება.
ექსპლუატაციის დასრულება	ვარიანტი 4: დახურული ციკლის გადამუშავების სისტემები	მაღალი	გრძელვადიანი: შემცირებული ნედლეულის მოთხოვნები და გარემოზე დაბალი ზემოქმედება. მოკლევადიანი: მაღალი ინვესტიციები (უკან დაბრუნების) ინფრასტრუქტურაში.	- მომხმარებლის მთელ ჯაჭვში ადაპტაცია და ახალი პარტნიორობა აუცილებელია. - აუცილებელია ახალი უკუმიღების სისტემების და მომხმარებლების მიერ დაბრუნებისთვის ნამახალისებელი სისტემების დანერგვა (B2B) და მომხმარებლებისთვის (B2C).

ელექტრომონოპოლიზაციის მწარმოებელი—მაგალითი 11: შესაძლო კრიტერიუმების
შეფასების მატრიცა

ეფექტურობის რისკის მატრიცის ინსტრუმენტი

თქვენი ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომების პრიორიტეტების მინიჭების კიდეც ერთი მეთოდია მათი ეფექტურობისა და პოტენციური რისკების შეფასება. ეს მიდგომა გეხმარება განსაზღვროთ, რომელი სტრატეგიები გვთავაზობს უდიდეს ზემოქმედების პოტენციალს, თქვენი კონკრეტული ბიზნეს კონტექსტის შესაბამისად.

ეფექტურობა-რისკის მატრიცაში ოფციების კატეგორიზაციის გზით, თქვენ მიიღებთ საწყის წარმოდგენას:

- ▶ თითოეულ ოფციასთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და რისკების შესახებ.
- ▶ რომელი ოფცია უფრო პერსპექტიული წარმატებული განხორციელებისთვის.


ეფექტურობა-რისკის მატრიცაში ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომების შეფასება უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ. იდეალურ შემთხვევაში, ეს შეფასება უნდა ჩატარდეს თანამშრომლობით იმ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ წინა ნაბიჯებში. ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომების კლასიფიკაცია ხდება ქვემოთ მოცემული ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- ▶ მაღალი ზემოქმედება დაბალი რისკით - იდეალურია. ეს არის თქვენი კომპანიისთვის ძალიან პერსპექტიული საწყისი წერტილი.
- ▶ დაბალი რისკი, მაგრამ შეზღუდული ეფექტურობა მიზნობრივ სფეროში - შეუსაბამო. განხორციელება სავარაუდოდ შესაძლებელია. თუ სხვა ოფციებთან კონფლიქტი არ წარმოიქმნება, ამ მიდგომის განხორციელება შესაძლებელია, როგორც სწრაფი გამარჯვება მცირე, მაგრამ დაუყოვნებელი წარმატებით.
- ▶ დაბალი ზემოქმედება მაღალი რისკით - თავიდან აიცილეთ.
- ▶ მაღალი ზემოქმედება მაღალი რისკით - სარისკო. რეკომენდებულია უფრო ღრმა ანალიზი. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, მაინც ღირდეს ამ ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომის განხორციელება, იმ პირობით, რომ რისკების მართვის ზომები მიღებულია პოტენციური გამოწვევების შესამცირებლად.

შეფასების შედეგებმა - იქნება ეს შეფასების ცხრილიდან მიღებული თუ ეფექტურობა-რისკის მატრიციდან - შესაძლოა გამოიწვიოს საწყისი მოსაზრებების გადახედვა. ზოგიერთი ადრე არაპრიორიტეტული ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომა შეიძლება უფრო მაღალ პრიორიტეტად იქცეს. შეფასების ეს ფაზა ეხმარება თქვენს კომპანიას დაიცვას რესურსების ინვესტირება ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომებში, რომლებიც შეიძლება არ იყოს სიცოცხლისუნარიანი გრძელვადიან პერსპექტივაში ან ვერ მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა.



- ვარიანტი **1** გადამუშავებული მასალების გამოყენება
- ვარიანტი **2** გამძლეობისა და შეკეთების უნარის დიზაინი
- ვარიანტი **3** პროდუქტი, როგორც სერვისის მოდელი
- ვარიანტი **4** ჩაკეტილი ციკლის გადამუშავების სისტემები



ელექტრომონყოილობების გამოგონილი მწარმოებელი—მაგალითი 12:
 ეფექტურობის-რისკის მატრიცა

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ადრე არაპრიორიტეტული ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომები ახლა პრიორიტეტულია, თქვენ უნდა გაიმეოროთ წინა ნაბიჯები შესაბამისად ამ მიდგომებისთვის.

მას შემდეგ, რაც ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომები პრიორიტეტული და შერჩეული იქნება, შეგიძლიათ გააგრძელოთ თქვენი კომპანიის ცირკულარული ეკონომიკისადმი სტრატეგიის მკაფიო მიზნების ჩამოყალიბება.


პრაქტიკული მაგალითი:

Volkswagen Group: ცირკულარული ტრანსფორმაცია, როგორც კორპორატიული სტრატეგიის ნაწილი

კომპანიის როლი: ავტომობილების მწარმოებელი

Volkswagen Group-მა (VW) თავის ახალი ავტომობილის (NEW AUTO) კორპორაციულ სტრატეგიაში დასახა მიზანი, რომ ტრადიციული ავტომობილების მწარმოებელიდან მობილურ კომპანიად გარდაიქმნას. ეს ტრანსფორმაცია მიზნად ისახავს შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაციას და ბაზრის ცვალებად ლანდშაფტთან ადაპტირებას. ამ სტრატეგიაში საკვანძო როლს ასრულებს ცირკულარული პროცესები. VW-ის კორპორაციული გარემოსდაცვითი ხედვა - „goTOzero“ - მკაფიოდ მოიცავს ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს. გარდა გარე ნედლეულის ნაკადებისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა, ის ასევე ხაზს უსვამს ცირკულარობის ეკონომიკურ სარგებელს. პრიორიტეტული სფეროები მოიცავს გამძლე და სარემონტო ავტომობილების წარმოებას, გადამუშავების პროცესების დანერგვას და დახურული მატერიალური ციკლების ხელშეწყობას.

გადამუშავებული ნედლეული: ინიციატივა ბატარეების დახურული ციკლებისთვის 2021 წლიდან VW მუშაობს მაღალი ძაბვის ავტომობილების ბატარეებისთვის დახურული მატერიალური ციკლების შექმნაზე ზალცგიტერში საპილოტე გადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებით. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს ღირებული ნედლეულის, როგორიცაა ლითიუმი, ნიკელი, მანგანუმი და კობალტი, აღდგენას და წარმოების პროცესში დაბრუნებას. ეს ამცირებს ახალი ნედლეულის საჭიროებას და მხარს უჭერს VW-ის მცდელობებს, შეინარჩუნოს რესურსები გლობალურად და მიაღწიოს მეთ დამოუკიდებლობას გლობალური ნედლეულის ბაზრებისგან.



C) გამოიყვანეთ და ჩამოაყალიბეთ ცირკულარობის მიზნები ზემოქმედებაზე ორიენტირებული გზით

რა

ცირკულარული ეკონომიკის მიზნები განსაზღვრავს, თუ როგორ და როდის უნდა დამკვიდრდეს შერჩეული ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომები. ეს მიზნები შეიძლება იყოს თვისებრივი და/ან რაოდენობრივი და უნდა უზრუნველყოფდეს მკაფიო მითითებებს შემდგომი მუშაობისთვის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. ასეთი ცირკულარობის მიზნები მოიცავს მიზნის ლოგიკას ზემოქმედების სხვადასხვა დონით. ისინი ასევე მოიცავს გარე პერსპექტივას, რაც აუცილებელია სასურველი ეფექტის მისაღწევად.

რაობა

კონკრეტული მიზნების ჩამოყალიბებით, თქვენ ქმნით ვალდებულებას განხორციელებისთვის და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის წარმატებას გაზომვადს ხდით. მკაფიო და ამბიციური მიზნების განცხადება ასევე აჩვენებს დაინტერესებულ მხარეებს წრიულობის მნიშვნელობას თქვენი კომპანიისთვის და უზრუნველყოფს მყარ საფუძველს თქვენი ძალისხმევის შესახებ სანდო კომუნიკაციისთვის.

ზემოქმედებასა და მიზნების ფორმულირებაზე ფოკუსირებით, თქვენ თავიდან აიცილებთ თქვენი კომპანიის მიერ ისეთი მიზნების განხორციელებას, რომლებმაც შესაძლოა საშუალოვადიან პერსპექტივაში შედეგი არ მოიტანოს ან სხვა მიზეზების გამო გადახედვას საჭიროებდეს. ეს გეხმარებათ ღირებული რესურსების კონცენტრირებაში და დროის დაზოგვაში. ის ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს თქვენი კომპანიის გრინვოშინგში დადანაშაულების რისკს.

როგორ

ცირკულარული ეკონომიკის მიზნების ფორმულირების საწყისი წერტილი არის კითხვა, თუ რა უნდა განხორციელდეს და რატომ. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ნაბიჯები ცირკულარობის მიზნების ფორმულირებისთვის, აქცენტით ზემოქმედებაზე და გაიაზროთ ისინი მიზნობრივი ლოგიკის კონტექსტში ზემოქმედების სხვადასხვა დონეებით (იხ. სურათი 12).

პირობები:

1.1. IOOI მეთოდი - შენატანის, მყისიერი შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზი

შენატანის, მყისიერი შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზის (IOOI) მეთოდი ეხმარება ზემოქმედების ჯაჭვის სტრუქტურირებას შენატანის, მყისიერი შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების დაკავშირებით. ეს საშუალებას გაძლევთ გააერთიანოთ წინა სამუშაო და გადათარგმნოთ ის მიზნების ფორმულირებაში.

ამ კავშირების დასამყარებლად და პროცესის ვიზუალიზაციისთვის, განიხილეთ შემდეგი კითხვები:

- ▶ შენატანი: რა რესურსებია გამოყოფილი პროექტისთვის? რა აქტივობები ხორციელდება?
- ▶ მყისიერი შედეგი: რა შედეგები მიიღწევა პროექტის მეშვეობით? რომელი პროცესები შეიცვალა ან ახლად დაინერგა?
- ▶ გრძელვადიანი შედეგი (შედეგები): რა ცვლილებები ხდება, მაგალითად, გადამუშავებული პროცესების ეფექტურობაში?
- ▶ ზემოქმედება: როგორ უწყობს პროექტი ხელს მდგრადობის უფრო ფართო მიზნებსა და საზოგადოების განვითარებას?

2²
◎



სურათი 12: ზემოქმედების ჯაჭვის ანალიზი—შენატანის, მყისიერი შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზის მეთოდის (IOOI) მოდელი



	შენატანი		მცხერე შედეგი	გრძელვადიანი შედეგი	ზემოქმედება
	რესურსები და ინვესტიციები	აქტივობები	შესრულების დონე	ცვლილების დონე	ზემოქმედების დონე
მიზანი	3 სული განაკვეთის თანამშრომელი (FTE) გამოყოფილია ცირკულარული ეკონომიკისადმი (CE) მიდგომის შემუშავებისა და განხორციელების სთვის ორი წლის განმავლობაში. 1.5 მილიონი ევრო გამოყოფილია კვლევისა და განვითარების პროექტებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია ცირკულარულ დიზაინსა და უკუმიღების/განახლების პროცესებზე.	- მოდულური დიზაინის მქონე პროდუქტების შემუშავება. - სამი წლის განმავლობაში დახურული ციკლის გადამუშავების სისტემის დიზაინი და განხორციელება. 50 თანამშრომლის ტრენინგი.	- კომპონენტების ხელახალი გამოყენების მარცვლების 70%-მდე გაზრდა. - გაყიდული მონყობილობების 80%-ის უკან დაბრუნება და გადამუშავება ხუთი წლის განმავლობაში. - წარმოების წარჩენების 95%-ის ხელახალი გამოყენება დახურული ციკლის სისტემების მეშვეობით, 2027 წლიდან.	- წარჩენების საერთო წარმოქმნის 50%-ით შემცირება 2030 წლისთვის. - პირველადი ნედლეულის შესყიდვის მინიმუმამდე დაყვანა 10%-ით წელიწადში 2026 წლიდან დაწყებული. - წარმოების ხარჯების შემცირება. - სათბურის გაზების (GHG) ემისიების შემცირება.	- კლიმატის ცვლილების შერბილება. - საბაზრო კოზიციის გამყარება ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის მეშვეობით. - ექსპლუატაციური პრაქტიკის შემცირება და სამართლიანი სამუშაო პირობების ხელშეწყობა.
ქვემიზნები /ზომები	- დოქტრინების მოპოვება. - ექსპერტების დაქირავება. - პარტნიორობის დაწყება.	- გადამუშავების ტექნოლოგიების განვითარება. - საპილოტე პროექტების განხორციელება. - თანამშრომლების გადამზადება.	- გადამუშავებული მასალების მოცულობის გაზრდა. - გადამუშავების სისტემების ოპტიმიზაცია. - დახურული მატერიალური ციკლების შექმნა.	- წარჩენების წარმოქმნის შემცირება. - ახალი მასალების გამოყენების მინიმიზაცია. - რესურსების ეფექტიანობისა და ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკის გაუმჯობესება.	- გარემოზე ზემოქმედების შემცირება. - ინოვაციების ხელშეწყობა. - ბრუნდის მდგრადობის გაძლიერება.
ძირითადი შესრულების მაჩვენებლები (KPIs)	- ბიუჯეტის ოდენობა და პროექტების რაოდენობა. - დაქირავებული ექსპერტების რაოდენობა. - დაწყარებული პარტნიორობების რაოდენობა.	- შემუშავებული ტექნოლოგიებისა და პროდუქტების რაოდენობა. - საპილოტე პროექტის შედეგების რაოდენობა. - სასწავლო კურსების და მონაწილეების რაოდენობა.	- გადამუშავებული მასალების მოცულობა. - გადამუშავების მარცვლებული. - დახურული მატერიალური ციკლების განხორციელების დონე.	- წარჩენების შემცირება - პირველადი მასალების გამოყენება. - რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესება.	- კლიმატის ცვლილების შერბილება. - შეფასებული ინოვაციების რაოდენობა. - ბრუნდის აღქმის ცვლილება.

ელექტრომონყობილობების მწარმოებელი—მაგალითი 13: დახურული გადამუშავების ციკლებისთვის შენატანის, მცხერე შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზის (IOOI) მეთოდზე დაფუძნებული მიზნების დონეებზე ზემოქმედების ლოგიკა და ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI). ანალიზის მეთოდის (IOOI) მოდელი

2. კონკრეტული (S), გაზომვადი (M), მიღწევადი (A), რელევანტური (R) და დროში შეზღუდული (T) (SMART) მიზნების ჩამოყალიბება - მოტივაცია და ვალდებულების უზრუნველყოფა

კონკრეტული (S), გაზომვადი (M), მიღწევადი (A), რელევანტური (R) და დროში შეზღუდული (T) (SMART) მიზნების ფორმულირება ეფექტური აღმოჩნდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიზნები წარმოქმნის მოტივაციასა და ერთგულებას. კონკრეტული (S), გაზომვადი (M), მიღწევადი (A), რელევანტური (R) და დროში შეზღუდული (T) (SMART) მიზნები წარმოადგენენ ხუთ ძირითად კრიტერიუმს, რომელსაც მიზნის ფორმულირება უნდა აკმაყოფილებდეს. ქვემოთ მოცემულია მაგალითი ამ მიდგომის საილუსტრაციოდ.



მიზნის ფორმულირება:

„2030 წლისთვის ჩვენს პროდუქციის ასორტიმენტში გადამუშავებული მასალების გამოყენებას 30%-ით გავზრდით. ზრდა განხორციელდება ეტაპობრივად, წელიწადში 5%-ის ტემპით.“ (საწყისი წელი: 2023)



2²

S კონკრეტული

ნათლად განსაზღვრეთ, რა უნდა იყოს მიღწეული.



გაზარდეთ გადამუშავებული მასალების გამოყენება **30%-ით**.

M გაზომვადი

დაადგინეთ კრიტერიუმები პროგრესის თვალყურის დევნებისთვის.



გაზარდეთ გადამუშავებული მასალების გამოყენება **5%-ით ყოველწლიურად**, 2023 წლის საბაზისო წელთან შედარებით.

A მიღწევადი

დარწმუნდით, რომ მიზანი რეალისტური და შესაძლებელია.



შეაფასეთ, არის თუ არა ხელმისაწვდომი საჭირო **რესურსები და უნარები** მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, პირველ რიგში საჭირო გახდეს ნებისმიერი დაბრკოლების მოხსნა და წინასწარი მიზნების განსაზღვრა (მაგ., ახალი პარტნიორობის ჩამოყალიბება ან პროდუქტის დიზაინის ადაპტირება).

R რელევანტური

დაადასტურეთ, რომ მიზანი მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის და სამოქმედო პრიორიტეტული სფეროებისთვის.



განიხილეთ, თუ როგორ შეამცირებს **გადამუშავებული მასალების გამოყენების გაზრდა** მნიშვნელოვანად გარემოზე ზემოქმედებას, შეამცირებს წარმოების ხარჯებს, შექმნის კონკურენტულ უპირატესობებს ახალი პროდუქტებისა და პარტნიორობის გზით და უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

T დროში შეზღუდული

დაისახეთ მკაფიო ვადები



2030 წლისთვის.

ელექტრომონოპოლიზაციის გამოგონილი მწარმოებელი—მაგალითი 14: კონკრეტული (S), გაზომვადი (M), მიღწევადი (A), რელევანტური (R), დროში შეზღუდული (T) (SMART) მიზნების ფორმულირება.

პრაქტიკული მაგალითი:

SHIFT GmbH: მდგრადი რესურსების კონსერვაცია მოდულური სმარტფონების მეშვეობით.

კომპანიის როლი: მწარმოებელი, საცალო მოვაჭრე და სერვისის პროვაიდერი.

SHIFT GmbH სპეციალიზირებულია სრულად მოდულური სმარტფონების წარმოებასა და დისტრიბუციაში. კომპანია იყენებს ჰოლისტურ მიდგომას და შეგნებულად იყენებს ცირკულარული ეკონომიკის R სტრატეგიებს თავის 13 SHIFT ციკლში.

SHIFT ითვალისწინებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს და ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ რესურსების მოხმარების შემცირებაზე, არამედ გამოყენების დროს შეკეთებასა და აპარატურის განახლებაზე. მეორადი მოწყობილობების დაბრუნების მაჩვენებლის გასაზრდელად, კომპანიამ დაწერა დეპოზიტების სისტემა თავისი პროდუქციისთვის. SHIFT ასევე პრიორიტეტს ანიჭებს მოწყობილობის დიზაინში ხანგრძლივობას, რათა უზრუნველყოს პროდუქტის რაც შეიძლება ხანგრძლივი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

SHIFTphone

SHIFTphone-ის დიზაინი დაფუძნებულია მოდულურ სისტემაზე, რაც იძლევა მარტივი და ეკონომიური შეკეთების საშუალებას ახალი შესყიდვების ნაცვლად. სხვადასხვა SHIFTphone მოდელებს შორის კომპონენტების თავსებადობის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია სტანდარტიზებული სათადარიგო ნაწილები. ეს კომპონენტები არა მხოლოდ აადვილებს შეკეთებას, არამედ იძლევა ძველი მოდელების განახლების საშუალებას. გარდა ამისა, დაბრუნებული მოწყობილობების ფუნქციური ნაწილები გარემონტდება და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა ინსტალირდება. მოდულური დიზაინი აადვილებს მასალებისა და კომპონენტების გამოყოფას, რაც მათ დახურულ მატერიალურ ციკლებში ხელახლა შეტანის საშუალებას აძლევს.



ბიზნეს მოდელი:
აღდგენითი
წარმოება



ცირკულარული
დიზაინი



მოწყობილობის
დეპოზიტის
სისტემა



- ▶ დინამიკი
- ▶ HD დისპლეი
- ▶ წინა/უკანა კამერა
- ▶ აუდიო ჯეკი
- ▶ დამტენი პორტი (USB C)
- ▶ ანტენის მოდული
- ▶ მთავარი დაფა
- ▶ ორმაგი SIM და MicroSD სლოტი
- ▶ დამტენი კონექტორი
- ▶ T3 სტანდარტული ხრახნები
- ▶ B-ჩარჩოს მზიდი - კომპონენტი
- ▶ მოდულური ბატარეა
- ▶ მოწყობილობის კორპუსი

პრაქტიკული მაგალითი:

Vytal Global GmbH: შეფუთვის ნარჩენების მინიმიზაცია მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერების მეშვეობით.

კომპანიის როლი: მწარმოებელი და გადაწყვეტილებების მიმწოდებელი მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერებისთვის.

ნარჩენებისგან თავისუფალი მომავლის ხედვით მოტივირებული Vytal რესტორნებს, კაფეებს და სხვა კვების ობიექტებს (მაგ., სუპერმარკეტებს) აწვდის მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერებს. კომპანიის მისიაა გახდეს წამყვანი გლობალური ტექნოლოგიური პლატფორმა მრავალჯერადი გამოყენებადობისა და ცირკულარული გადაწყვეტილებებისთვის. როგორც ღირებულებათა ჯაჭვის შუამავალი, Vytal ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავს:

- ▶ უარი თქვას და შეამციროს ნარჩენები და ერთჯერადი შეფუთვა და ჩაანაცვლოს იგი მდგრადი მრავალჯერადი გამოყენების სისტემით (გადახედვა, ხელახალი გამოყენება).
- ▶ დაეხმაროს ბიზნეს პარტნიორებს (B2B) შეასრულონ სავალდებულო მრავალჯერადი შეფუთვის რეგულაციები, სადაც ეს შესაძლებელია, ამასთან შეამცირონ CO₂-ის ემისია ერთჯერად შეფუთვისათან შედარებით.
- ▶ გამორიცხოს მავნე ნივთიერებები პლასტიკური შეფუთვიდან BPA-ს გარეშე პოლიპროპილენისა და თერმოპლასტიკური ელასტომერების გამოყენებით (უარი). ინოვაციური ბიზნეს მოდელი, რომელიც ორ საყრდენზეა დაფუძნებული,

1) მონაწილე სავაჭრო ობიექტები, როგორიცაა რესტორნები და კაფეები, იხდიათ მცირე საფასურს მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერების შევსებისას (გამოყენებაზე დაფუძნებული ფასების მოდელი). ეს საფასური მიზანმიმართულად დაბალია, რათა პარტნიორ რესტორნებს მიეცეთ ეკონომიკური სტიმული, აირჩიონ მრავალჯერადი გამოყენების ალტერნატივები ერთჯერადის ნაცვლად (მთავარი გადაწყვეტა).

2) თუ მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერი არ დაბრუნდება სავაჭრო ობიექტში 14 დღის განმავლობაში, საკუთრება გადადის მომხმარებელზე და საფასური ირიცხება რეტროაქტიულად (მეორადი გადაწყვეტა).

აღნიშნული სისტემა ციფრული სესხების პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება. თითოეულ მრავალჯერადი გამოყენების კონტეინერს აქვს უნიკალური QR კოდი, რომელიც რეგისტრირდება აპლიკაციის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა კონტეინერი დაკავშირებულია კონკრეტულ მომხმარებელთან. სისტემაში 6500-ზე მეტი ბიზნეს პარტნიორი მონაწილეობს. გამოყენების შემდეგ მომხმარებლები აბრუნებენ კონტეინერებს პარტნიორ ლოკაციაზე, სადაც ისინი ინმინდება და მზადდება ხელახალი გამოყენებისთვის.

ტექსტური ჩანართი 10: პრაქტიკული მაგალითი - Vytal Global GmbH: უარი თქვა, გადააფასე, შეამცირე, ხელახლა გამოიყენე - შეამცირე შესაფუთი ნარჩენები მრავალჯერადი კონტეინერების გამოყენებით²⁰.

29 Vytal Global GmbH; www.vytal.org; Kölnische Rundschau (24 January 2024), "Wie sich 'Vytal' zu einem echten Erfolgsmodell entwickelt hat" (*How Vytal has developed into a real success model*)

2.3 განხორციელების გზები

მას შემდეგ, რაც ჩამოაყალიბებთ თქვენს ხედვასა და მისიას, განსაზღვრავთ და პრიორიტეტებს მიანიჭებთ ცირკულარული ეკონომიკისადმი მიდგომებს და გამოიმუშავებთ და განსაზღვრავთ თქვენს ცირკულარული ეკონომიკის მიზნებს, შემდეგი ნაბიჯი არის იმის განსაზღვრა, თუ როგორ განახორციელოთ ცირკულარული ტრანსფორმაცია.

აღნიშნული სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს ზემოქმედებაზე ორიენტირებულ ცირკულარული ეკონომიკის მიზნების დასახვის მიდგომაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ გირჩევთ, განხორციელების პროცესში გაითვალისწინოთ შემდეგი ძირითადი ელემენტები:

- ▶ **ზომები:** განსაზღვრეთ კონკრეტული განხორციელების ქმედებები თითოეული ცირკულარობის მიზნისთვის.
- ▶ **სამოქმედო გეგმა:** აღწერეთ და დაგეგმეთ ქმედებები სამოქმედო გაგმაში, სადაც მითითებულია საჭირო რესურსები და პასუხისმგებლობები.
- ▶ **მმართველობა:** შექმენით მართვის ძლიერი ჩარჩო, რათა წარმართოთ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის ნორმატიული და ოპერატიული განხორციელება თქვენი კომპანიის ყველა სფეროში. შემდეგი სექციები დეტალურად აღწერს ამ ელემენტებს.

A) განხორციელების ზომების განსაზღვრა

რა

კომპანიის ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგია მოითხოვს სხვადასხვა ზომებს. ზოგიერთი შეიძლება სწრაფად განხორციელდეს და მოკლევადიან შედეგებს მოიტანს, ზოგი კი - როგორცაა ახალი ბიზნეს მოდელები - მოითხოვს პროცესებისა და ბიზნეს სფეროების ყოვლისმომცველ ტრანსფორმაციას, პარტნიორობის განვითარებას და მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს.

ამ ეტაპზე შეგიძლიათ შეაფასოთ ახალი მოდელების ფინანსური მიზანშეწონილობა ბიზნეს ქეისის ანალიზის საშუალებით. ეს ხელს უწყობს დაგეგმილი ცირკულარული პროცესებისა და ბიზნეს მოდელების ინტეგრირებას კომპანიის გრძელვადიან ეკონომიკურ მიზნებთან. ბაზრის ტენდენციებზე უბრალო რეაქციისგან განსხვავებით, ბიზნეს ქეისი ფოკუსირებულია გრძელვადიანი კორპორატიული ღირებულების შექმნაზე.

რატომ

კონკრეტული ზომების განსაზღვრა სტრატეგიულ განზრახვას გარდაქმნის მკაფიო სამოქმედო ნაბიჯებად. ეს პროცესი ასევე განსაზღვრავს პოტენციურ გამოწვევებს და გადაწყვეტილებებს განხორციელებისთვის. ამ სამოქმედო გეგმების დახვეწით, თქვენ ასევე ემზადებით დაგეგმილი პროექტების ფინანსური შეფასებისთვის და უზრუნველყოფთ მათ ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას.

როგორ

ამ ეტაპზე თქვენ ფოკუსირდებით კონკრეტულ ცირკულარობის მიზნებზე, რომლებიც ჩამოაყალიბეთ წინა ნაწილში - იქნება ეს კონკრეტული (S), გაზომვადი (M), მიღწევადი (A), რელევანტური (R), დროში შეზღუდული (T) (SMART) მიდგომის გამოყენებით თუ შენატანის, მყისიერი შედეგების, გრძელვადიანი შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზის (IOOI) მეთოდით (იხ. თავი 2.2 c: გამოითანეთ და ჩამოაყალიბეთ ცირკულარობის მიზნები ზემოქმედებაზე ორიენტირებული გზით). მიმართეთ თქვენს მიზნებს, რათა ამოიღოთ ძირითადი ელემენტები, სახელმძღვანელო მითითებები და მოთხოვნები და სისტემატურად იმუშავებთ მათზე.

პროცესი:

1. მიზნების განხორციელებისთვის ზომების შემუშავება

თითოეული მიზნისთვის ჰკითხეთ საკუთარ თავს: რა არის საჭირო მის მისაღწევად?

დაიწყეთ მოკლე და საშუალოვადიანი გეგმით თქვენი მიზნებისთვის პრიორიტეტული სამოქმედო სფეროებში. თქვენი გეგმა უნდა მოიცავდეს მინიმუმ ერთ წელს, მომდევნო ერთი-ორი წლის პერსპექტივით. ის ასევე უნდა მოიცავდეს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და საჭირო პერსონალს.

მიზნიდან გამომდინარე, ასევე უნდა გაითვალისწინოთ გრძელვადიანი საჭიროებები და შესაძლებლობები სამწლიანი ჰორიზონტის მიღმა.

გარდა ამისა, განსაზღვრეთ, რომელი ზომების განხორციელება შეიძლება ან უნდა განხორციელდეს შიდა და გარე პარტნიორობთან თანამშრომლობით. ამისათვის შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენი სტატუს კვოს ანალიზს, განსაკუთრებით თქვენს ბიზნეს გარემოს, თქვენს პოზიციას ღირებულებათა ჯაჭვში და თქვენს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (იხ. თავი 2.1: სტატუს კვოს შეფასება). ეს საფუძველი ხელს უწყობს ერთობლივი პროექტების შემუშავებას თქვენს წრიულ ეკოსისტემაში, რაც ხელს უწყობს სინერგიის შექმნას და ხარჯების შემცირებას.

2. ბიზნეს-გეგმის შემუშავება ახალი ბიზნეს მოდელებისა და გადაწყვეტილებებისთვის

ბიზნეს-გეგმა აფასებს ცირკულარული პრაქტიკის განხორციელების ფინანსურ, გარემოსდაცვით და სოციალურ გავლენას. ამ შეფასების საკვანძო კომპონენტია საფუძვლიანი ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ ინვესტიციებს, როგორიცაა ტექნოლოგიების განახლება, სასწავლო პროგრამები და/ან პროცესების რესტრუქტურირება. ეს ხარჯები შემდეგ აიწონება გრძელვადიან სარგებელთან, მათ შორის განკარგვის დაბალ ხარჯებთან, ოპერაციული ეფექტურობის გაზრდასთან და ბრენდის უფრო ძლიერ რეპუტაციასთან.

ფინანსური ანალიზის გარდა, ბიზნეს-გეგმა ასევე განსაზღვრავს წრიულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს. ეს შეიძლება მოიცავდეს მარეგულირებელ გამოწვევებს, ბაზრის გაურკვევლობებს და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებს. ბიზნეს-გეგმა ასევე ასახავს რისკის შემცირების სტრატეგიებს გლუვი და მდგრადი გადასვლის უზრუნველსაყოფად.

ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მოლოდინებისა და შეშფოთების გათვალისწინება, დაწყებული მომხმარებლებიდან და ინვესტორებიდან დამთავრებული ადგილობრივი თემებით. ამ პერსპექტივების გათვალისწინება აუცილებელია ნდობის ჩამოყალიბებისა და ცირკულარული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციები, როგორიცაა VDI, ZRE და ადგილობრივი აქტორები, უზრუნველყოფენ ინსტრუმენტებს ამ ნაბიჯის მხარდასაჭერად.

ბ) სამოქმედო გეგმის შეშუშავება

რა

სამოქმედო გეგმა არის დეტალური განხორციელების გეგმა, რომელიც მოიცავს ვადებსა და რესურსების დაგეგმვას. იგი ემსახურება ეფექტური მონიტორინგისა და გამჭვირვალე კომუნიკაციის საფუძველს.

სამოქმედო გეგმას შეუძლია ასახოს მოკლე და საშუალოვადიანი განხორციელების გეგმები. გარდა ამისა, კომპანიის ტრანსფორმაციის პროცესის გრძელვადიანი ხედვა ხელს უწყობს იმის განსაზღვრას, თუ როგორ ხდება კონკრეტული სფეროების პრიორიტეტების განსაზღვრა და დაგეგმვა.

სამოქმედო გეგმაში ნათლად უნდა იყოს მითითებული, თუ რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, როდის უნდა დაიწყოს და დასრულდეს ისინი, ვინ არის პასუხისმგებელი და რა რესურსები იქნება გამოყენებული.

რატომ

სამოქმედო გეგმა დაგეგმილ ზომებს გარდაქმნის კარგად დასაბუთებულ და რეალისტურ სამოქმედო გეგმად, რომელიც მიზნად ისახავს ცირკულარული ეკონომიკის მიზნების მიღწევას. საოპერაციო დონეზე, დეტალური სამოქმედო გეგმა ემსახურება პროცესების მართვის საფუძველს და შესაძლებელს ხდის დაბრკოლებებისა და შეფერხებების ადრეულ იდენტიფიცირებას.

სამოქმედო გეგმა ასევე უჭერს მხარს ზომების მონიტორინგსა და ანგარიშგებას. იგი უზრუნველყოფს კომპანიის შიდა ყოვლისმომცველ კომუნიკაციას, ხელს უწყობს ნდობასა და მოტივაციას და აძლიერებს კომპანიის იმიჯს მომხმარებლებსა და მომხმარებლებში - როგორც ტრანსფორმაციის პარტნიორი ან ცირკულარული გადაწყვეტილებების მიმწოდებელი.

იმ შემთხვევაში, თუ სამოქმედო გეგმა ასევე წარმოადგენს გრძელვადიან მიზნებს ან დაგეგმვას, ის მხარს უჭერს კომუნიკაციას თქვენი კომპანიის ამბიციებისა და ზომების შესახებ, რადგან ეს ამტკიცებს, რომ თქვენ ცდილობთ მუდმივ ტრანსფორმაციას.

როგორ

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი ნაბიჯები შეიძლება მარტივად ჩანდეს, მათი განხორციელება მოითხოვს დეტალურ მუშაობას. დაიწყეთ თითოეული ღონისძიებისთვის საჭირო რესურსების დაგეგმვით. შემდეგ, განიხილეთ, როგორ შეიძლება რეალისტური საერთო ვადების სტრუქტურირება.

პიკეხი:

1. რესურსების დაგეგმვა

წინა სამოქმედო გეგმის საფუძველზე შექმენით რესურსების დაგეგმვისთვის მიმოხილვა. აღნიშნული მიმოხილვა უნდა მოიცავდეს საჭირო ბიუჯეტებს, საკადრო საჭიროებებს, სივრცულ მოთხოვნებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ადამიანური რესურსების დაგეგმვისას გაითვალისწინეთ, საჭიროა თუ არა ახალი თანამშრომლების დაქირავება და დარწმუნდით, რომ ეს აღნიშნული საჭიროება შეტანილია ფინანსურ გეგმაში.



თქვენი კომპანიის ანალიზი და ანგარიშგება	ცოდნის და შესაძლებლობების განვითარება	ბიზნეს მოდელები და ინოვაცია
▶ არსებული ვითარების შეფასება 0.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 10k ▶ დაინტერესებულ მხარეთა უერქშოპები 0.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 5k ▶ სტრატეგიის განვითარება 1.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 20k	▶ პარტნიორობის დამყარება 0.2 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 8k ▶ ტრენინგი და კომუნიკაცია 0.3 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 5k	▶ გადამუშავებისთვის განკუთვნილი პროდუქციის სისტემის დიზაინი 0.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 9k ▶ საპილოტე პროექტების დაწყება 0.5 სრული განაკვეთის ეკვივალენტი (FTE), € 15k
